



საქართველოში ცენტრალური ბანკი
პირველად 1919 წელს დაფუძნდა

2008

ინფლაციის მიმოხილვა

საქართველოს
ეროვნული ბანკი

1234

საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა

2008 წ. II კვარტალი

თბილისი

სარჩევი

შესავალი	4
1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	6
ჩანართი 1. ინფლაცია საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში	9
2. ინფლაციის ფაქტორები	11
2.1. შრომის პროდუქტიულობა, ხელფასი	11
2.2. მონეტარული აგრეგატები	12
2.2.1. ფართო ფული	14
2.2.3. სადეპოზიტო სერტიფიკატი და ერთდღიანი სესხები	14
2.4. ბანკთაშორისი სესხები	17
ჩანართი 2. იპოთეკური სესხების კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში	18
2.5. საბანკო სექტორი	21
ჩანართი 3. ფულადი გზავნილების მასშტაბები საქართველოში	23
2.6. გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები	24
2.7. გამოშვება და მოთხოვნა	28
2.7.1. შინამეურნეობების მოხმარება	29
2.7.2. სახელმწიფო მოხმარება	29
2.7.3. ინვესტიციები	30
2.8. საგარეო ვაჭრობა	30
3. ინფლაციის პროგნოზი	32

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2008 წლის II კვარტალში სამომხმარებლო ფასების საერთო დონემ 0.9 პროცენტით მიიმატა. შესაბამისად, 2008 წლის ივნისში წლიური ინფლაცია წინა კვარტალში დაფიქსირებული 12.3 პროცენტიდან 11.3 პროცენტამდე შემცირდა. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი II კვარტალში ერთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.5 პროცენტს მიაღწია.

წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელები 11.1 და 5.3 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროცენტებისათვის.

2008 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ფასების ცენტრალური ზრდა დაფიქსირდა ტრანსპორტის ჯაფუფში (23.2 პროცენტი), რაშიც უმთავრესი წვლილი ქალაქის მასტებით ავტობუსით, მიერთავტობუსით და ტაქსით მგზავრობის საფასურის ზრდამ შეიტანა.

საქართველოში ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად განაპირობებს ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან. იმპორტიორებულ საქონლზე ფასების ზრდამ 14.1 პროცენტი შეადგინა. ივნისში ადგილობრივი საქონლის ინფლაცია 7.2 პროცენტს შეადგენს. იმპორტიორებულ საქონლზე ფასების ზრდის ასეთი ტემპი ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში (უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი) არსებული მაღალი ინფლაციით აიხსნება.

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ 2008 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ფასები საშუალო, ხანმოკლე და ხანრგძლევი მოხმარების საქონლზე შემცირდა, შესაბამისად, 0.5, 0.5 და 1.1 პროცენტით. მომსახურებაზე ფასები ივნისში 1.2 პროცენტით გაიზარდა. სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლეს შორის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მაღალია ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის (11.6 პროცენტი). ასევე, მაღალია მომსახურებისათვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი (13.8 პროცენტი).

დაქირავებულთა საშუალო თვეიურმა ხელფასმა 2008 წლის I კვარტალში 504.9 ლარი შეადგინა, რაც 57.4 პროცენტით აღემატება 2007 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ერთ დასაქმებულზე

წარმოებული დამატებითი ლირებულების რეალურმა ზრდამ 12.6 პროცენტი შეადგინა. შრომის პროდუქტიულობის რეალური ზრდა, მიუთითებს რა მიზოდების გაფართოებაზე, ინფლაციის შემაცვებელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, ხელფასების კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მატება, რასაც ადგილი ჰქონდა განხილულ პერიოდში, ინვევდა მიწოდების მოთხოვნისაგან საგრძნობ ჩამორჩენას და, შესაბამისად, ხელს უწყობდა ინფლაციის მაღალი ტემპით ზრდას.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მოთხოვნას მიწოდებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა. საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 305.6 მლნ დოლარი (458.6 მლნ ლარი) შეადგინა. ამასთან, წლის განმავლობაში შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვა 420.3 მლნ დოლარი (630.7 მლნ ლარი) იყო. შეიძლება ითქვას, რომ ერთობლიობაში აღნიშნული ოპერაციების (თბისბ-ზე განხორციელებული ოპერაციებისა და შიდასამთავრობო კონვერტაციებისა) მიხედვით მიმოქცევიდან ამოღებულ იქნა 172.1 მლნ ლარი. წლის დასაწყისიდან მთავრობის დეპოზიტების ზრდამ 180.0 მლნ ლარი შეადგინა.

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტად საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ სადეპოზიტო სერტიფიკატების იყენებდა. სადეპოზიტო სერტიფიკატებით სისტემიდან ამოღებული ფულადი სახსრების წმინდა მოცულობამ 180.1 მლნ ლარი შეადგინა. აბსორბირებული ლიკვიდობის ზემოაღნიშულმა იდენტობამ სარეზერვო ფულის შემცირების გზით 2008 წლის ექვეს თვეში სარეზერვო ფულის მაჩვენებელმა 6.8 პროცენტით მომატა და ივნისის ბოლოსთვის 1600.2 მლნ ლარი შეადგინა. შეიძლება M2 ფულადი აგრეგატის გაფართოება (წლის დასაწყისიდან 13.4 პროცენტი). შესაბამისად, ფასების საერთო დონის ზრდა მონეტარულ ფაქტორებით არ იყო გამოწვეული.

2007 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 946.8 მლნ ლარით, ანუ 20.7 პროცენტით გაიზარდა. მთლიანად, კომერციული ბანკების მიერ ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებამ 5527.3 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მიერ სესხების გაცემის ზრდის მაღალი ტემპების გამო, დროის გარკვეულ პერიოდში საბანკო სექტორში ლიკვიდობის მნიშვნელოვანი დეფიციტიც წარმოიქმნა. ეს მოვლენა

მწვავედ აპრილის მესამე დეკადასა და, განსაკუთრებით, მაისში გამოვლინდა. დეფიციტის დასაფინანსებლად ბანკები აქტიურად იყენებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიან სესხებს და მოკლევადიან ბანკთამორის სესხებს.

2008 წლის II კვარტალში, წინა კვარტალის მსგავსად, ეროვნული ბანკი ყოველკვირეულად აწარმოებდა 7- და 91-დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, II კვარტალში მონეტარული პოლიტიკის ძირითადი (ერთკვირიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების) საპროცენტო განაკვეთი შეიცვალა მხოლოდ ერთხელ – 17 აპრილს, კერძოდ, 11 პროცენტიდან 12 პროცენტამდე გაიზარდა. ამ გადაწყვეტილებებს მიზანი იყო სასაქონი ბაზარზე მოთხოვნის და, შესაბამისად, ინფლაციის შემცირებისათვის სერვენტის. სამთვარი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუცილნებელი მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 17 აპრილს 17 პროცენტიდან 18 პროცენტამდე და 26 ივნის 19 პროცენტამდე გაიზარდა.

II კვარტალში გაიზარდა ერთდღიან სესხებზე პროცენტიც – 16 პროცენტიდან 20 პროცენტამდე.

ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით გაცემული ერთიდან შვიდ დღემდე ვადიანობის სესხების საშუალო წლიური შეწონილი პროცენტების ინდექსი TIBR7 და TIBR1 გვიჩვენებს, რომ, მიუხედვად გარკვეული მერყეობისა, II კვარტალში საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა.

ისეთ შცირე ღია ეკონომიკის შქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველო, გაცვლითი კურსის დინამიკას არსებითი გავლენა აქვთ ინფლაციაზე.

გაცვლით კურსის ცვლილება სხვადასხვაგვრად მოქმედებს რეალურ სექტორზე. კურსის გაუფასურება ზრდის ქვეყანაში ინფლაციის მოლოდინს და შედეგად – ინფლაციისაც. კურსის გამყარება აიაფებს იმპორტირებული საქონლის ფასებს, რამაც შეიძლება დაფებითად იმოქმედოს ინფლაციაზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანა ძლიერ არის დამოკიდებული იმპორტზე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კაპიტალის შემოდინებამ, დაახლოებით, 800 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

კაპიტალის შემოდინების ზრდის შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე იზრდება უცხოური ვალუტის მინოდება, რაც ნათლად აისახება სავალუტო ბირჟაზე განხორციელებულ ტრანზაქციებზე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ლარის კურსი 15 პროცენტით გამყარდა აშშ დოლარის მიმართ, ხოლო მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით კი კურსის, დაახლოებით, 11 პროცენტიანი გამყარება დაფიქსირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანის დაბალ და

სტაბილურ ინფლაციაზე ფოკუსირებამ ბანკს ბირჟაზე ინტერვენციების სიხშირის შეემცირების საშუალება მისცა, რის შედეგად ლარის გაცვლითი კურსი უფრო სწრაფი ტემპით მიემართება წონასწორობის წერტილისაკენ.

გაცვლითი კურსის ცვალებადობაზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ნამორიადგენს. საქართველოში მიმდინარე ანგარიში წლების განმავლობაში დეფიციტურია და ეს დეფიციტი წლიდან წლამდე იზრდება, რაც ძალიან შემაშფოთებელია. მიმდინარე წლის I პირველ კვარტალში მან 723 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც, დაახლოებით, 80 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული ტენდენციები ლარის გაცვლით კურსზე ზემოქმედებს გაუფასურების მიმართულებით, თუმცა, კაბიტალის შემოდინების არსებული მოცულობების შედეგად მიღებული კურსის გამყარების ეფექტი გადაწონის მიმდინარე ანგარიშის არსებული დეფიციტის ზენოლას კურსზე და შედეგად – მიმდინარე ეტაპზე ლარის გაცვლით კურსს აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების ტენდენცია აქვს.

ინფლაციის პროგნოზირებსათვის საქართველოს ეროვნული ბანკი, ძირითადად, იყენებს ორ მეთოდოლოგიას: ერთი მხრივ, ბანკი აკვირდება სამოხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და, გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლის, მოკლევადიანი პერიოდისათვის საპროგნოზო ინფლაციას, მეორე მხრივ, ბანკი ეყრდნობა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკულ მოდელირებას საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

2008 წლის ინფლაციის პროგნოზირებისას საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს ზოგიერთი პროდუქციის ერთჯერადი გაძვირებით მიღებული ეფექტის წლიური ინფლაციიდან ამოვარდნას წლის დარჩენილი თვეების განმავლობაში. ბანკი, აგრეთვე, ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრებზე ფასების დინამიკას ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა საწვავი, ხორბალი, შაქარი კლების მიმართულებით. ინფლაციის პროგნოზირებისათვის ბანკი იყენებს დაშვებას, რომ წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში რეგულირებადი ფასები არ შეიცვლება. ყველაფერი ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ III და IV კვარტალების ბოლოს წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდება. ინფლაციის შემცირების ტენდენცია ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებითაც არის მოსალოდნელი.

1. სამოხმარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2008 წლის II კვარტალში სამომხმარებლო ფასების საერთო დონემ 0.9 პროცენტით მოიმატა. შესაბამისად, 2008 წლის ივნისში ნლიური ინფლაცია წინა კვარტალში დაფიქსირებული 12.3 პროცენტიდან 11.3 პროცენტამდე შემცირდა. საშუალო ნლიური ინფლაციის მაჩვენებელი II კვარტალში ერთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.5 პროცენტს მიაღწია.

საანალიზო კვარტალის ინფლაციის ძირითადი მიზეზი ბენზინსა და ქალაქებს მასშტაბით ავტობუსით, მიკროავტობუსითა და ტაქსით მგზავრობის საფასურის გაზრდა წარმოადგენს. სამომხმარებლო კალათის ამ მუხლებში, შესაბამისად, 9.9- და 3.9-პროცენტიანი ინფლაცია დაფიქსირდა. აღნიშნული ფაქტორების წილი კვარტალის ინფლაციაში 0.5 პროცენტს შეადგენს.

გარდა ამისა, I კვარტალში ფასების

მერყეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბოსტნეულზე ფასების ცვალებადობამ, რაც აღნიშნული პროდუქციის სეზონური ხასიათით აიხსნება.

ნლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 11.1 და 5.3 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოცვედრილი პროდუქტებისათვის. საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, 2008 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 11.3 პროცენტით გაიზარდა. ფასის 3.7-პროცენტიანი შემცირებაა დაფიქსირებული ტანსაცმლის ჯგუფზე, ხოლო „ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფზე“ ფასები 1.6 პროცენტით შემცირდა.


„კავშირგაბმულობის“ სექტორზე ფასებმა 5.9 პროცენტით იმატა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სამომხმარებლო კალათის შემდეგ

ჯგუფებზე: „სურათი და უალკოჰოლო სასმელები“ (13.3 პროცენტი), „საოჯახო ნივთები“ (17.6 პროცენტი) და „ჯანმრთელობის დაცვა“ (16.1 პროცენტი).

სასაქონლო ჯგუფზე „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ ფასებმა 7.8 პროცენტით მოიმატა. 2008

წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ფასების ყველაზე მნიშვნელოვან მატებას ჰქონდა ადგილი ტრანსპორტის ჯგუფში¹ (23.2 პროცენტი), რაც, უმთავრესად, ქალაქში ავტობუსით,

გრაფიკი 1.1
ნლიური ინფლაციის გარვევებულების ცვლილება სევადასევა
საგრძლივობის მოხმარების საქონელა და მომსახურებაზე



¹ იგულისხმება არა მარტო საქალაქო ავტობუსებითა და მეტროპოლიტენით მგზავრობის ფასები, არამედ ტრანსპორტის საშუალო ფასის ზრდა, მათ შორის – სხვა ტიპის ტრანსპორტის ფასიც, მაგ., ქალაქის შიგნით ტაქსის, მიკროავტობუსის, საგარეუბო და საქალაქომრისო ტრანსპორტის და ა. შ.

მიკროაგტობუსითა და ტაქსით
მგზავრობის საფასურის ზრდამ გამოიწვია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

აკვირდება ინფლაციის დონამიკას
საქონლის წარმოების ადგილმდებარეობის
მიხედვით. აღნიშნულ კლასიფიკაციაში
განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი
კატეგორია: იმპორტული, შერეული და
ადგილობრივი წარმოების საქონელი.

უკანასკნელ პერიოდში იმპორტირებულ
საქონელზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა
დაფიქსირდა, თუმცა, ივნისში მცირდით
შემცირდა და ნლიურმა ზრდამ

**14.1 პროცენტი შეადგინა. იმპორტირებულ
საქონელზე ფასების მატების ასეთი
ტემპი ძირითად სავაჭრო პარტნიორ
ქვეყნებში (უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი,
აზერბაიჯანი) არსებული მაღალი
ინფლაციით აიხსნება. უკანასკნელ
პერიოდში შედარებით სტაბილურია
ადგილობრივი წარმოების საქონელზე
ინფლაცია (9-10 პროცენტის ფარგლებში
მერყეობს), რომლის მაჩვენებელმაც
ივნისში 7.2 პროცენტი შეადგინა.**

ამრიგად, საქართველოში ინფლაციის
მაღალ მაჩვენებელს მნიშვნელოვანად
განაპირობებს ინფლაციის იმპორტი
ძირითადი სავაჭრო პარტნიორი
ქვეყნებიდან.

სავაჭრო¹ და არასავაჭრო საქონლის
ფასების დინამიკაზე დაკვირვებისას
ნიშანდობლივია, რომ ბოლო რამდენიმე
წლის განმავლობაში მნიშვნელოვანად
გაიზარდა არასავაჭრო საქონლის წვლილი
მთლიან ინფლაციაში, რაც, ძირითადად,
მომსახურებაზე ფასების სწრაფმა
ზრდამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ
უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე
სავაჭრო და არასავაჭრო საქონელს
თანაბარი წვლილი შეაქვს მთლიან
ინფლაციაში.²


საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის
მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ
2008 წლის ივნისში, წინა თვესთან
შედარებით, ფასები შემცირდა საშუალო,
ხანმოკლე და ხანგრძლივი მოხმარების

საქონელზე – შესაბამისად, 0.5, 0.5 და


1.1 პროცენტით. მომსახურებაზე ფასები

1.2 პროცენტით გაიზარდა. სხვადასხვა
ხანგრძლივობის მოხმარების საქონელს
შორის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი
მაღალია ხანმოკლე მოხმარების
საქონლისათვის (11.6 პროცენტი). ასევე,
მაღალია მომსახურებისათვის წლიური
ინფლაციის მაჩვენებელი (13.8 პროცენტი).

გრაფიკი 1.2



გრაფიკი 1.3



¹ საქონელი და მომსახურება, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია წარმოების ადგილიდან მოშორებით.

² ადგილობრივი წარმოების, აგრეთვე სავაჭრო და არასავაჭრო პროდუქციის სიიდან ამოღებულია ხორბლის თეთრი პური, რადგან აღნიშნული პროცენტის გაძვირებას საქმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ინფლაციაზე და მისი ჩართვა რომელიმე პროდუქციის ჯგუფში მკვეთრად ცვლის საერთო სურათს.


ცხრილი 1.1

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლადი ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი),
მათი წოდეს სამოხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფიზე (პროცენტული პუნქტი)

	2006 წ. დეკემბერი	ივნისი-2008 / მაისი-2007		ივნისი-2008 / ივნისი-2007		ივნისი-2007 - ივნისი-2008 / ივნისი-2006 - ივნისი-2007	
		ინფლაცია	ნელილი	ინფლაცია	ნელილი	ინფლაცია	ნელილი
სულ	100.0	0.9	0.9	11.3	11.3	10.5	10.5
სურსათი და უალკოპოლო სასმელები	44.3	-0.7	-0.3	13.3	5.9	13.2	5.8
სურსათი	43.0	-0.8	-0.3	13.6	5.8	13.5	5.8
პური და პურპროდუქტები	12.2	1.8	0.2	31.8	3.7	26.7	3.2
ხორცი და ხორცის პრიდუქტები	6.6	5.3	0.3	12.2	0.8	3.8	0.2
თევზული	1.1	3.4	0.0	-3.4	0.0	3.8	0.0
რძე, ყველი და კვერცხი	5.2	-17.0	-0.8	13.0	0.5	9.4	0.4
ზეთი და ცხრი	3.5	1.6	0.1	44.8	1.5	33.5	1.1
ხილი, კურძენი	2.3	5.3	0.2	0.2	0.0	68.0	1.9
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	8.8	-6.0	-0.4	-9.9	-0.8	-14.2	-1.3
შაქრი, ჯიმი, თაფლი, ვაშნები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.7	-1.0	0.0	-1.6	0.0	-5.3	-0.1
კვების სხვა პროდუქტები	0.6	2.7	0.0	10.2	0.1	12.1	0.1
უალკოპოლო სასმელები	1.3	0.5	0.0	5.0	0.1	2.9	0.0
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	3.7	0.2	0.0	-1.6	-0.1	0.0	0.0
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	5.0	-1.0	0.0	-3.7	-0.2	-5.6	-0.3
საცოვერებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა	10.3	2.1	0.2	7.8	0.9	17.7	1.9
სახელები, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.7	3.9	0.1	17.6	0.6	10.1	0.4
ჯამშირელიბის დაცვა	8.0	2.7	0.2	16.1	1.3	10.2	0.8
ტრანსპორტი	9.0	5.9	0.6	23.2	2.1	14.6	1.3
კაშირგაბმულობა	4.4	4.4	0.2	5.9	0.2	2.1	0.1
დასვენება, გართობა და ეულტურა	2.7	-0.4	0.0	6.1	0.2	7.4	0.2
განთლება	3.5	-3.4	-0.1	1.5	0.0	2.7	0.1
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4	0.8	0.0	3.4	0.1	3.2	0.1
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.2	0.4	0.0	7.3	0.2	5.2	0.2
ხაზოეული მოხმარების საქონელი	68.0	0.4	0.2	11.6	7.9	11.5	7.8
სატარო ხანი ხანი მოხმარების საქონელი	6.5	-0.8	0.0	0.2	0.0	-2.5	-0.2
ხაზგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9	-1.7	0.0	-0.3	0.0	-0.6	0.0
მომსახურება	23.6	3.0	0.7	13.8	3.3	11.8	2.8

გრაფიკი 1.4

ლიანი სფი და საბაზო ინფლაცია
(2006 ლიანი დაერთიანებით სამოხმარებლო
კალათის 282 კომპონენტის მიხედვით)¹




2005 წლის დეკემბრიდან 2008 წლის ივნისამდე ხანმოკლე მოხმარების საქონლის ფასები 28.4 პროცენტით, ხოლო იმავე პერიოდში მომსახურებაზე ფასები 29 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასებს, მათზე 2005 წლის დეკემბრიდან 2008 წლის ივნისამდე ფასის, შესაბამისად, 4- და 2.3-პროცენტიანი შემცირებაა დაიფიქსირებული.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მაღალ ინფლაციას, ძირითადად, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. კერძოდ, გაიზარდა მსოფლიო ფასები ისეთ საქონელზე, როგორებიცაა პურის ფქვილი, მზესუმზირის ზეთი, შაქარი და ნავთობპროდუქტები. აღნიშნულ საქონელს საკმაოდ დიდი წონა აქვს სამომხმარებლო

^{1*} ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტების მიხედვით.
^{**} ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტების მიხედვით.

კალათაში, ამდენად, მსოფლიოში ფასების ზრდამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქნია საქართველოში ინფლაციის ტემპზე.
მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს სამომხმარებლო კალათისათვის ზოგიერთ მნიშვნელოვან პროდუქციაზე მსოფლიო ფასების მოსალოდნელ დინამიკას კლების მიმართულებით. შედეგად, რეგულირებადი ფასების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია წლიური ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება.

გრაფიკი 1.5
ფასების ზრდა 2007 წლის დავამარტინის მონაცემთან
შედარებით




ჩანართი 1. ინფლაცია საქართველოსა და მთავრობებულ ქვეყნებში


საქართველოს მეზობელი ქვეყნები, ეკონომიკის განვითარების ტემპებისა და ერთობლივი მოთხოვნის ცვალებადობის მხრივ, არათანაბარი მდგომარეობით ხასიათდებიან. შესაბამისად, განსხვავებებია სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ტემპებშიც. მეზობელ ქვეყნებში ინფლაციის მასშტაბები, ზოგადად, შეიძლება ასე შეფასდეს: ინფლაციის მაღალი ტემპი აღინიშნება უკრაინასა და აზერბაიჯანში, დაბალი – სომხეთში, რუსეთს საშუალო, ხოლო საქართველოს საშუალოზე დაბალი პოზიცია უკავია და, პრაქტიკულად, თურქეთის მაჩვენებლის იდენტურია. იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესადარის ბაზად 2005 წლის დეკამბერი იქნება გამოყენებული, თვეულისათვის აზერბაიჯანმა და უკრაინამ 150-პროცენტიან ზღურბლს გადააბიჯეს, რუსეთში დაფიქსირდა 132.9 პროცენტი, საქართველოში – 126.1 პროცენტი, თურქეთში – 126.0 პროცენტი, ხოლო სომხეთში – 121.7 პროცენტი. წლიური ინფლაციის ტემპები განსაკუთრებით მაღალია უკრაინასა

და აზერბაიჯანში. ამ მაჩვენებელმა უდიდეს ნიშნულს უკრაინაში მიმდინარე წლის მაისში მიაღწია, როცა ინფლაციის 31.1 პროცენტი (მთავრობის პროგნოზი თავდაპირველად ნლიურ 9.6 პროცენტს ითვალისწინებდა, თუმცა ექვსი თვის შედეგების განალიზების შემდეგ იგი

გრაფიკი 1
სამომხმარებლო ფასების ინდექსი
(2005 წ., დეკამბერი=100)



გრაფიკი 2
ნდიური ინფლაცია



ცხრილი 1
ნდიური ინფლაციის მაქსიმალური და მინიმალური გარემოებები
2007-2008 წლების მიხედვით

	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	უკრაინა	თურქეთი
max	12.3% (03.08)	10.7% (04.08)	26.5% (06.08)	15.1% (05.08)	31.1 (05.08)	10.9 (03.07)
min	6.6% (07.07)	1.7% (08.07)	9.8% (06.07)	7.5% (03.07)	9.5% (02.07)	6.9% (07.07)

15.3 პროცენტამდე ასწია) დაფიქსირდა. არსებობს მოსაზრება, რომ მაღალ ინფლაციას ბიძგი მისუა ბიუჯეტიდან ფართომასშტაბიანმა სოციალურმა გაცემებმა და აშშ დოლარის მიმართ ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნების მცდელობამ.

აზერბაიჯანში ინფლაციამ მაქსიმალურ ნიშნულს ივნისის მდგომარეობით მიაღწია (26.5 პროცენტი). აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პროგნოზით, 2008 წლისათვის საშუალო ინფლაცია 13 პროცენტი იქნება, თუმცა, ფაქტობრივი დონე ივნისისთვის უკვე 7.2 პროცენტული პუნქტით აჭარბებს საპროგნოზო დონეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით კი 2008 წლის საშუალო ინფლაცია აზერბაიჯანში 19.6 პროცენტს, ხოლო წლის ბოლოსთვის – 22 პროცენტს მიაღწევს.

ცხრილში მოცემულია წლიური ინფლაციის მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები*.

ამდენად, 2007-2008 წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში ქვეყნების უმრავლესობაში მაქსიმალური ინფლაცია აღინიშნა ამა წლის ბოლო ოთხ თვეში.

* ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი თვე და წელი.

2. ინფლაციის ფაქტორები

2.1. შრომის პროდუქტიულობა, ხელფასი

2008 წელს აღინიშნა საშუალო ხელფასის დონის მნიშვნელოვანი მატება 2007 წელთან შედარებით. კერძოდ, 2008 წლის I კვარტალში დაქირავებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა ოფიციალურ ეკონომიკაში 504.9 ლარი¹ შეადგინა, რაც 57.4 პროცენტით აღმატება 2007 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგურ მაჩვენებელს. დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასის მატება აღინიშნა ეკონომიკის ყველა მსხვილ დარგში. სექტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობისა (84.2 პროცენტი) და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროები (81.8 პროცენტი). მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სახელმწიფო მმართველობის (78.4 პროცენტი), ჯანდაცვისა (76.9 პროცენტი) და სამთომოპოვებითი მრეწველობის (70.1 პროცენტი) სექტორებში. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მცირე, თუმცა დადებითი ზრდა აღინიშნა მშენებლობაში (6.8 პროცენტი) დაქირავებულთა საშუალო თვიურ ხელფასებში.

2008 წლის I კვარტალში შენარჩუნდა მნიშვნელოვანი განსხვავებები საშუალო ხელფასის დონეებს შორის, საქმიანობათა სახეების მიხედვით. ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო საქმიანობასა (1601.3 ლარი) და სახელმწიფო მმართველობაში (910.4 ლარი), რაც მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის დონეს აჭარბებს, შესაბამისად, 3.2- და 1.8-ჯერ. ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი აღინიშნა თევზჭერის, მეთევზეობისა

(173.9 ლარი) და განათლების

(213.6 ლარი) სფეროებში დაქირავებით დასაქმებულთა შორის და, შესაბამისად,

ცხრილი 2.1.1


2008 წლის I კვარტალში დაიკირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნოვენდური ხელფასი 2007 წლის I კვარტალში შედარებით (პროცენტი)

	ნომინალური ხელფასი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა თევზჭერა, მეთევზეობა	184.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	162.5
დამუშავებელი მრეწველობა	170.1
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განატონება	142.8
მშენებლობა	142.0
ვაჭრობა, ავტომობილების, საყიდვების განარმისა და პრადა მოხარების საგნების რემონტი	106.8
სასტუმროები და რესტორნები	165.6
ტრანსპორტი და კაშირგაბმულობა	162.5
საფინანსო საქმიანობა	150.1
ოპრაციები უძრავი ქონებთ, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განვევა	181.8
სახელმწიფო მმრთველობა	150.2
განათლება	178.4
ჯამირთლობის დაცვა და სოციალური დახმარება	152.6
კომუნალური, სიციალური და პერსონალური მომსახურების განვევა	176.9
სულ	148.9
	157.4

ნიუარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი.

გრაფიკი 2.1.1

დაიკირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა სახეაპის მიხედვით
2008 წ., I კვარტალი



¹ ნიუარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, საწარმოო და შრომის მიმდინარე სტატისტიკის დაკვირვების მინაცემები.

ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის 34.4 და 42.3 პროცენტი შეადგინა. ეკონომიკაში საშუალო მაჩვენებელზე დაბალი ხელფასები, ძირითადად, დაფიქსირდა იმ სექტორებში, რომელთა საკმარის მნიშვნელოვანი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დახმარება, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განევა).

2008 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებითი ღირებულების რეალურმა ზრდამ 12.6 პროცენტი შეადგინა (რაც 3.1 პროცენტით ნაკლებია, 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით). მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განევა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, განათლება. ამასთან, 2008 წლის I კვარტალში, 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოფიციალური ეკონომიკის ყველა სხვა დანარჩენ დარგებში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულების კლება აღინიშნა. ამ კუთხით გამოირჩევა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი და მომსახურების სხვა სახეები.

ცხრილი 2.1.2
2008 წლის I კვარტალი ერთ დასაქმებულზე თანმომავალი რეალური დამტებითი ღირებულება 2007 წლის I კვარტალთან შედარებით (პროცენტი)

	რეალური დამატებული ღირებულება
სოფლის მეურნეობა	104.8
მრეველობა	94.9
შენებლობა	133.4
ვაჭრობა	110.2
სასტუმროები და რესტორნები	79.8
ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	82.1
საფინანსო უფასოობა	93.9
ოპერაციები უძრავი ქრინბით, იჯარა და კომუნიკაციული საქმიანობა	129.2
სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა	97.5
განათლება	100.7
ჯანდაცვა	96.3
მომსახურების სხვა სახეები	80.3
სულ	112.6

წყარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი.

შრომის პროდუქტიულობის რეალური ზრდა, მიუთითებს რა მიწოდების გაფართოებაზე, ინფლაციის შემაკავებელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, ხელფასების კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით მატება, რასაც ადგილი ჰქონდა განხილულ პერიოდში (2008 წლის I კვარტალში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი თითქმის 45 პროცენტით აღემატებოდა ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებითი ღირებულების რეალურ ზრდას), მიწოდების მოთხოვნისაგან საგრძნობ ჩამორჩენას იწვევდა და შესაბამისად, ხელს უწყობდა ინფლაციის მაღალი ტემპებით ზრდას.

2.2. მონაცარული აგრეგატები

2008 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფულის მაჩვენებელმა 101.6 მლნ ლარით (6.8 პროცენტი) მოიმატა და ივნისის ბოლოსთვის 1600.2 მლნ ლარი შეადგინა. თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით კი ივნისში, დეკემბერთან შედარებით, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 129.9 მლნ ლარით (9.0 პროცენტი) გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბანკეთშორის სავალუტო ბირჟაზე (თბსბ) განხორციელებული ინტერვენციები ფულად ბაზარზე მატების მიმართულებით ახდენდა გავლენას. თბსბ-ზე მოთხოვნას მიწოდებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა. შედეგად, ლარის გამყარების პირობებში (1.595-1.413 ლარი/აშშ დოლარი)

საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 305.6 მლნ დოლარი (458.6 მლნ ლარი) შეადგინა. ამასთან, წლის განმავლობაში შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვა 420.3 მლნ დოლარი (630.7 მლნ ლარი) იყო. შეიძლება ითქვას, რომ ერთობლიობაში აღნიშნული ოპერაციების (თბსბ-ზე განხორციელებული ოპერაციების და შიდასამთავრობო კონვერტაციების) მიხედვით, მიმოქცევიდან ამოღებულ იქნა 172.1 მლნ ლარი.

2008 წლის დასაწყისიდან მთავრობის დეპოზიტების მატება დაფიქსირდა

– ივნისის პოლო მონაცემით, მისი მოცულობა 627.4 მლნ ლარი იყო.
საანგარიშო პერიოდში ამ ანგარიშზე ზრდამ 180.0 მლნ ლარი შეადგინა. მთავრობის ანგარიშების ასეთ მატებას მთავრობის დეპოზიტების უცხოური ვალუტით დენომინირებული კომპონენტი განაპირობებდა, რომელიც 198.6 მლნ ლარით გაიზარდა.

ამავე პერიოდში რეალიზებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ ემიტირებული ევრობლიგაციები, რომლის განთავსების შედეგად მოპილიზებული იქნა 500 მლნ აშშ დოლარის რესურსი. აღნიშნული სახსრების ნაწილი აკუმულირდა სტაბილური განვითარების ფონდსა და მომავალი თაობების ფონდებში, ნაწილი კი მთავრობის დეპოზიტზე. ამდენად, ამ თანხებს მონეტარულ ბაზაზე გაულენა არ მოუხდებია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტად კვლავ სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონს იყენებდა. ფულად ბაზაზე აღნიშნული ინსტრუმენტის მეშვეობით საანგარიშო პერიოდში აბსორბირებული ლიკვიდობის ჯამურმა მოცულობამ 1315.5 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში დაიფარა 1539.6 მლნ ლარის ოდენობის სადეპოზიტო სერტიფიკატი. შედეგად, სადეპოზიტო სერტიფიკატებით სისტემიდან ამოღებული ფულადი სახსრების წმინდა მოცულობამ 180.1 მლნ ლარი შეადგინა. ამდენად, სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოყენებით მიმოქცევიდან ამოღებულ იქნა საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის 11 პროცენტი. სადეპოზიტო სერტიფიკატების აქტიური გამოყენება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების განვითარებას და აუმჯობესებს კომერციული ბანკების მენეჯმენტს, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის მიზნის მისაღწევად. აბსორბირებული ლიკვიდობის ზემოაღნიშნულმა ოდენობამ, სარეზერვო ფულის შემცირების გზით და მულტიპლიკაციის ეფექტის გათვალისწინებით, M2-ის ფულადი აგრეგატის გაფართოება შეზღუდა,

აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა ფასების საერთო დონის ზრდის ტემპზე შემცირების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში სადეპოზიტო სერტიფიკატების მოქნილი ინსტრუმენტის გამოყენებამ, გარკვეულწილად, შეარბილა ინფლაციური ზეწოლა, კერძოდ, მისი გამომწვევი მონეტარული კომპონენტი, რომელიც წარმოიშვა სავალუტო ბაზაზე უცხოური ვალუტის ნაკადების ზემოქმედებითა და მოცულობითი საბიუჯეტო ხარჯებით.

2008 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის გამოცხადება, რომელსაც მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი რეგულარულად განსაზღვრავს. კომიტეტის მიერ 23 იანვარს, 20 თებერვალს და 16 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებებით, ძირითადი (7-დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის) საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა თითოეულ შემთხვევაში 100 საბაზისო პუნქტით – შესაბამისად, 10 პროცენტი, 11 პროცენტი, 12 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ, საანგარიშო პერიოდის ბოლო მონაცემებით, კომერციული ბანკების ერთდღიანი დაკრედიტების მოცულობა ნულის ტოლია, მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში კომერციული ბანკები აქტიურად სარგებლობდნენ ამ ტიპის (ერთდღიანი კრედიტების) მექანიზმით. აღნიშნული ინსტრუმენტი კომერციული ბანკების მხრიდან მოკლევადიანი, საანგარიშსწორებოდ საჭირო ლიკვიდობის დეფიციტის პირბებში გამოიყენებოდა.

ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა, იქნისის ბოლო მონაცემების მიხედვით, 303.5 მლნ ლარიდან 180.1 მლნ ლარამდე შემცირდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 101.6 მლნ ლარით გაფართოვდა, რაც, უმთავრესად, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მატებაზე მოდის. მისი მოცულობა 102.8 მლნ ლარით გაიზარდა და 1413.2 მლნ ლარი შეადგინა. თითქმის უცვლელი დარჩა საქართველოს

ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების
საკორესპონდენტო ანგარიშებზე
(ეროვნული ვალუტით) არსებული
ნაშთების ოდენობა (187.0 მლნ ლარი).

ცხრილი 2.2.1 სარეზონარო ფულის დინამიკა 2008 წ., თვის ბოლო მონაცემები

	12.07	01.08	02.08	03.08	04.08	05.08	06.08
სარეზონარო ფული ფული მიმოქცევაში ბანკების დამოუნიტებები სავალდებულო რეზერვები საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	1498601 1310488 188113 1170 186943	1338939 1184525 154414 59 154355	1392331 1225042 167289 59 167231	1413540 1287123 126418 59 126359	1522132 1391544 130588 59 130529	1508768 1348253 160515 59 160456	1600239 1413237 187002


ცხრილი 2.2.2 სარეზონარო ფულის დინამიკა 2008 წ., თვის საშუალო მონაცემები

	01.08	02.08	03.08	04.08	05.08	06.08
სარეზონარო ფული ფული მიმოქცევაში ბანკების დამოუნიტებები სავალდებულო რეზერვები საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	1420749 1217136 203613 140 203473	1413282 1199674 213607 59 213548	1447780 1244064 203716 59 203657	1533334 1334405 198929 59 198870	1543217 1351649 191567 59 191509	1572458 1360751 211707 53 211654

ცხრილი 2.2.1.1 ფულადი აგრეგატების ყოველთვიური ცვლილება 2008 წ., თვის ბოლო მონაცემები

	01.08	02.08	03.08	04.08	05.08	06.08
ფართო ფული /M3/ ფულადი მასა /M2/ ბანკებსგარეთ ასერტები ნალი ლარები მიმოქცევაში დამოუნიტებები ეროვნული ფალუტი დამოუნიტებები უცხოური ფალუტი	3981686 2018547 1038612 1184525 979935 1963139	3951402 2071878 1072474 1225042 999404 1879524	4026932 2258946 1122923 1287123 1136024 1767985	4278872 2358767 1219459 1391544 1139308 1920106	4155079 2316461 1186454 1348253 1130008 1838618	4187900 2417078 1235407 1413237 1181671 1770822

გრაფიკი 2.3.1 საღამოზისო სესივატებით ლიკვიდობის ამოღაბისა და მინდა ამოღაბის შეფარდება სარეზონარო ფულთან 2008 წ. 31 მარტი - 2008 წ. 31 ივნისი



2.2.1. ფართო ფული

2008 წლის ექვს თვეში ფართო ფული M3-ის აგრეგატი 207.3 მლნ ლარით გაიზარდა და 4187.9 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უცხოური ფალუტით დეპოზიტები 77.8 მლნ ლარით შემცირდა და ივნისის ბოლოს 1.8 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული შემცირება მხოლოდ ცალკეული კომერციული ბანკების კლიენტთა მიმდინარე ანგარიშებზე მოდის. ეროვნული ფალუტით დეპოზიტები გაიზარდა 201.8 მლნ ლარით და პერიოდის ბოლოს 1.2 მლრდ ლარი განადგინა.

საანგარიშო პერიოდში ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი 13.4 პროცენტით (285.1 მლნ ლარით) გაფართოვდა, რაც, ეროვნული ფალუტით სადეპოზიტო ვალდებულებების მატებასთან ერთად, ბანკებსგარეთ არსებული ნალი მოცულობის ზრდამ განაპირობა.

ფართო ფული M3-ის და M2-ის მაჩვენებლების წლიური ზრდის ტემპებმა ივნისის ბოლოსათვის, შესაბამისად, 28.9 პროცენტი და 46.8 პროცენტი შეადგინა.

2.3. საღამოზისო სერტიფიკატი და ერთდღიანი სესხები


2008 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სადეპოზიტო სერტიფიკატებით ამოღებული ფულის მასამ 180.1 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა ამოღების მაჩვენებელმა – 180.1 მლნ ლარი. 2008 წლის I კვარტალის ბოლოს ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 467.2 მლნ ლარსა და 392.2 მლნ ლარს შეადგენდა. როგორც ჩანს, II კვარტალში ამოღება მკეთრად შემცირდა და კლების გამოკვეთილი ტენდენციით ხასიათდება. ამოღების მაჩვენებელმა ყველაზე მინმალურ დონეს წლის პირველ ნახევარში – 27 ივნისს მიაღწია და 177 მლნ ლარს გაუტოლდა. 30 ივნისის მდგომარეობით, სადეპოზიტო სერტიფიკატებით ამოღების სარეზერვო ფულთან შეფარდებამ 11.3 პროცენტი შეადგინა, როცა 31 მარტს 33.1 პროცენტი, ხოლო 2007 წლის 31 დეკემბერს 25.1 პროცენტი იყო. ასეთი მკეთრი შემცირების ერთ-ერთი მიზეზი,

სადეპოზიტო სერტიფიკატებით ამოღების
შემცირების პარალელურად, სარეზერვო
ფულის 2008 წლის 31 მარტიდან

30 ივნისამდე 13 პროცენტით ზრდა იყო.
2008 წლის II კვარტალში ლარის
საკორესპონდენტო ანგარიშებზე
არსებული ნაშთი სავალდებულო
რეზიუმებს, საშუალოდ, 24.4 მლნ ლარით
აღმატებოდა, ხოლო სტანდარტულმა
გადახრამ 50.6 მლნ ლარი შეადგინა.
თუმცა, აპრილის ბოლოსა და მაისის
დასაწყისში, ხოლო შემდეგ – მაისის
ბოლოსა და ივნისის დასაწყისში,
ლარის საკორესპონდენტო ანგარიშზე
მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები თანხები
იყო, ვიდრე ამ ანგარიშზე საშუალოდ
დასაცავი ნაშთი. ბანკების მიერ სესხების,
მათ შორის, ფიზიკურ პირებზე გაცემული
სესხების ზრდის მაღალი ტემპის გამო,
დროის გარკვეულ პერიოდში ლიკვიდობის
მნიშვნელოვანი დეფიციტიც წარმოიქმნა.
ეს მოვლენა მწვავედ აპრილის მესამე
დეკადასა და, განსაკუთრებით,
მაისში გამოვლინდა. დეფიციტის
დასაფინანსებლად ბანკები აქტიურად
იყენებდნენ საქართველოს ეროვნული
ბანკის ერთდღიან და მოქლევადიან
ბანკთაშორის სესხებს. გარკვეულ დღეებში
ათვისებულ იქნა ეროვნული ბანკის
ერთდღიანი კრედიტით დავალიანების
საერთო დღიური ლიმიტიც – 150 მლნ
ლარის ოდენობით.


2008 წლის II კვარტალში, წინა კვარტალის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველკვირეულად აწარმოებდა 7- და 91-დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, II კვარტალში მონეტარული პოლიტიკის ძირითადი (ერთკვირიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო) განაკვეთი შეიცვალა მხოლოდ ერთხელ – 17 აპრილს, კერძოდ, 11 პროცენტიდან 12 პროცენტამდე გაიზარდა. ამ გადაწყვეტილებების მიზანი იყო სასაქონლო ბაზარზე მოთხოვნის და, შესაბამისად, ინფლაციის შემცირებისათვის ხელშეწყობა. შესაბამისად, პროცენტების ზრდა აღინიშნა სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონებზეც. კერძოდ, 1 აპრილიდან

15 აპრილის ჩათვლით, განთავსდა
75.8 მლნ ლარის ოდენობის 7-დღიანი
სადეპოზიტო სერტიფიკატები საშუალო
შენონილი საპროცენტო განაკვეთით
– 10.7 პროცენტი, 17 აპრილიდან ივნისის
ბოლომდე განთავსდა 207.1 მლნ ლარის
სადეპოზიტო სერტიფიკატები საშუალო
შენონილი საპროცენტო განაკვეთით
– 11.7 პროცენტი. სულ, II კვარტალში
7-დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების
აუქციონებზე განთავსდა 283 მლნ ლარის
მოცულობის სერტიფიკატები,
რომლებზეც საშუალო შენონილმა
ნლიურმა საპროცენტო განაკვეთმა
11.4 პროცენტი შეადგინა. განთავსების
მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა
I კვარტალთან შედარებით. კერძოდ,
2008 წლის იანვარ-მარტში განთავსდა
578.8 მლნ ლარის მოცულობის
სერტიფიკატები, ხოლო საშუალო
შენონილმა ნლიურმა საპროცენტო
განაკვეთმა შეადგინა 9.8 პროცენტი.
საქართველოს ეროვნული ბანკის
მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის
გადაწყვეტილებით, სამთვიანი
სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონ
მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთები
17 აპრილს 17 პროცენტიდან 18
პროცენტამდე, ხოლო 26 ივნისს
19 პროცენტამდე გაიზარდა. 2008 წლის
II კვარტალში განთავსდა, სულ, 164.1 მლ
ლარის ოდენობის სამთვიანი სადეპოზიტო
სერტიფიციატები, საშუალო შენონილი




ნლიური საპროცენტო განაკვეთით – 17.8 პროცენტი. 2008 წლის II კვარტალში სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია (მიწოდება), როგორც წესი¹, მნიშვნელოვნად აჭარბებდა მოთხოვნას. შესაბამისად, აუქციონზე დაფიქსირებული პროცენტები ემთხვეოდა ან მცირედით (0.01 პროცენტით) ჩამორჩებოდა მაქსიმალურ განაკვეთს.

გრაფიკი 2.3.3
7-დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების განთავსება,
პოლიტიკის ძირითადი პროცენტი და სამუალო შეცონლი პროცენტი
2008 წ., II კვარტალი



გრაფიკი 2.3.4
3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების განთავსება,
სამუალო შეცონლი და მაქსიმალური პროცენტის განაკვეთი
2008 წ., II კვარტალი



მიმდინარე ნლის II კვარტალში, ჭარბი ლიკვიდობის შემცირებასთან ერთად, უფრო მეტად აქტუალური გახდა ბანკების მიერ ლიკვიდობის დეფიციტის დაფინანსების საკითხი. სწორედ ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის ისეთმა ინსტრუმენტმა, როგორიცაა ერთდღიანი სესხები, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ერთდღიანი კრედიტით დავალიანების საერთო დღიური ლიმიტი ეროვნულმა ბანკმაც მაისში გაზარდა

75 მლნ-დან 150 მლნ ლარამდე.

II კვარტალში 16 პროცენტიდან

20 პროცენტამდე გაიზარდა ერთდღიან სესხებზე პროცენტიც. ერთი მხრივ, ეს ასახავდა ეროვნული ბანკის მიერ პროცენტების ზრდის საერთო ტენდენციას, ამასთან, მიზნად ისახავდა, კომერციული ბანკებისათვის მიენიშნებინა, რომ, მართალია, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები ბანკებს ლიკვიდობის დროებითი პრობლემის გადალახვაში ეხმარება, მაგრამ მათ თავად უნდა მართონ საკუთარი ლიკვიდობა ისე, რომ არ წარმოიქმნას პერმანენტული დეფიციტი, ნინაალმდევ შემთხვევაში მოუწევთ ფულის ძვირად სესხება.

2008 წლის II კვარტალში

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და

კომერციულ ბანკებს შორის, სულ,

77 გარიგება შედგა, რომელთა საერთო

მოცულობამ 2284.7 მლნ ლარი შეადგინა,

რაც, დაახლოებით, 2-ჯერ მეტია

I კვარტალთან შედარებით (35 გარიგება

– სულ, 1064.1 მლნ ლარის მოცულობით).

იზრდება გარიგებებში მონაწილე ბანკების

რაოდენობაც. აღსანიშნავია, რომ გასული

ნლის IV კვარტალში, სულ, 4 გარიგება

შედგა, საერთო მოცულობით – 73 მლნ

ლარი. სესხის უზრუნველსაყოფად

კომერციული ბანკები იყენებდნენ

როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატებს,

აგრეთვე, ევროსა და აშშ დოლარს.

¹ გამონაკლისია 12 ივნისის აუქციონი, სადაც 91-დღიან სადეპოზიტო სერტიფიკატებზე მოთხოვნა მათ მიწოდებას (70 მლნ ლარი) ემთხვეოდა.

2.4. განვითარების სესხები

ბანკებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის II კვარტალში ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2964 მლნ ლარი შეადგინა მაშინ, როცა I კვარტალში 2058 მლნ ლარი, ხოლო 2007 წლის IV კვარტალში 394 მლნ ლარი იყო.

საგრძნობლად მოიმატა გარიგებების მოცულობამ ევროშიც (2162 მლნ ევრო) და სხვა ვალუტებს გადააჭარბა, მათ შორის, გარიგებებს ლარით და აშშ დოლარით (ეს უკანასკნელი 578 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა).

ეროვნული ვალუტით გარიგებების ყველაზე მეტი რაოდენობა და მოცულობა აპრილში აღინიშნა და რეკორდულ მაჩვენებელს – 1563 მლნ ლარს მიაღწია, შემდეგ – მაისში, 964 მლნ ლარამდე, ხოლო ივნისში 777 მლნ ლარამდე შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა ევროთი გაცემული სესხების მოცულობა და ივნისში რეკორდულ დონეს – 811 მლნ ევროს მიაღწია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ, აშშ დოლარის გაუფასურებასთან ერთად, მკვეთრად გაიზარდა ბანკების ინტერესი ევროს მიმართ. მთლიანობაში, ბანკთაშორის ბაზარზე გარიგებების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა დადგებითი მოვლენაა ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარებისათვის.


აღსანიშნავია, რომ ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი გარიგებები დღინირებს. მაგალითად, ლარით გაცემული სესხების 98 პროცენტი 1-დან 15 დღემდე სესხებზე მოდის, ხოლო 1 საოპერაციო დღით გაცემული სესხების წილი 82 პროცენტია. ანალოგიური მდგომარეობაა ევროსა და აშშ დოლარით გაცემული სესხების ბაზარზე – შესაბამისად, 86 პროცენტი და 70 პროცენტი.

2008 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს TIBR1 და TIBR7¹ ინდექსების

განვარიშებას. აღნიშნული წარმოადგენს ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით გაცემული 1-დან 7 დღემდე ვადიანობის სესხების საშუალო შეწონილ წლიურ საპროცენტო განაკვეთებს და საპროცენტო განაკვეთებზე საქართველოს ეროვნული ბაზის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზეგავლენის გაანალიზების საშუალებას იძლევა. TIBR7 და TIBR1 ინდექსები გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად გარკვეული მერყეობისა, II კვარტალში პროცენტები გაიზარდა. TIBR1-თან მიმართებით, ეს ტენდენცია ნათლად გამოვლინდა მაისში, როცა 1 საოპერაციო დღით ლარით გაცემული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, მატები დაფიქსირებულ 12 პროცენტთან შედარებით, 14.9 პროცენტამდე გაიზარდა.

7-დღიან ბანკთაშორის სესხებსა და შესაბამისი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საპროცენტო განაკვეთების შედარებისას, ბანკთაშორის ბაზარზე უფრო მაღალი პროცენტი ფიქსირდება. ეს ფაქტი

**ბრაზილია 2.4.1
თავისი განვითარების საპროცენტო განაკვეთი
ლანით გამოვლი მოკლებადიან სესხებისათვის
20.02.2008 წ. - 30.06.2008 წ.**




* შენიშვნა: თუ რომელიმე საბანკო დღის განმავლობაში მოცემული კატეგორიის სესხებისათვის გარიგებები არ ფიქსირდება, მაშინ საპროცენტო განაკვეთის ნაცვლად გარფიქტება თავისუფალი სივრცეა დატოვებული.

¹ TIBR1 ინდექსი მოიცავს სესხებს, რომელთა ვადიანობა არის ერთი საოპერაციო დღე და არაუზრუნველყოფილი. TIBR7 ინდექსი მოიცავს სესხებს, რომელთა ვადიანობა შეიძლება ასევე ყველა იმ არაუზრუნველყოფილ სესხს, რომლებიც არ შედის TIBR1-ის განვარიშებაში.

გრაფიკი 2.4.2

7-დღიან სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და
7-დღიან პანკთავორის დარით გაცემულ სესხებზე
საშუალო გაცემის საპროცენტო განაკვეთი^{*}
2008 წ., II კვარტალი



* შენიშვნა: თუ რომელიმე საბანკო დღის განმავლობაში მოცემული კატეგორიის სესხებისათვის გარიგებები არ ფიქსირდება, მაშინ საპროცენტო განაკვეთის ნაცვლად გრაფიკზე დატოვებულია თავისუფალი სივრცე.

განპირობებულია იმით, რომ, როგორც წესი, კომერციული ბანკისთვის სადეპოზიტო სერტიფიკატებიდან მიღებული შემოსავალი უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა კომერციული ბანკისთვის მიცემული სესხიდან მიღებული შემოსავალი. სადეპოზიტო სერტიფიკატების უპირატესობას წარმოადგენს ნაკლებრისკიანობა, ამასთან, ბანკთაშორისი სესხის გასაცემად საჭიროა მეტი საკუთარი კაპიტალი, რაც სესხის გამცემი კომერციული ბანკისათვის არახელსაყრელია. რაც შეეხება სამთვიან ბანკთაშორის სესხებს, 2008 წლის II კვარტალში მხოლოდ ერთი გარიგება შედგა. ამიტომ ანალიზისათვის მისი შედარება სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთთან საკმარის ინფორმაციას არ იძლევა.

ჩანართი 2. იკოთევაში სესხების პრიზისი ამარიკის შემთხულ მტატებში

იპოთეკური სესხების კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2006 წლის მიწურულს დაიწყო. აღნიშნული პერიოდი ხასიათდება სესხებზე ვადაგადაცილებისა და გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევის შემთხვევათა ზრდით¹. შედეგად, 2007 წელს გამოსყიდვის უფლება ჩამორთვა 1.5 მლნ საცხოვრებელი სახლის მფლობელს, რაც, 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 53 პროცენტით მაღალია. მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, აღნიშნულ შემთხვევათა ზრდა გრძელდება მიმდინარე წელსაც. იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილმა პრობლემებმა უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნა 2007 წლიდან

2008 წლამდე კიდევ უფრო გააძლიერა, რაც გლობალურ ფინანსურ კრიზისში გადაიზარდა.

უძრავი ქონების ბაზარზე არსებულმა ბუმმა, რომელიც წინ უძლვოდა აღნიშნულ კრიზისს და უძრავი ქონების ფასების ზრდით გამოიხატებოდა, პიქს 2005 წელს მიაღწია.

ფასების ზრდის მაღალი ტემპი გამოწვეული იყო ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნით, რომლის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორსაც იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა.

აშშ-ში იპოთეკური სესხების დაფინანსებისას კომერციული ბანკები აღნიშნული სესხების ობლიგაციებად გაყიდვის მეთოდს მიმართავდნენ,

¹ გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა ხორციელდება სასამართლოს ძალით მაშინ, როდესაც მსესხებელი არღვევს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით კონტრაქტით დადგენილ პირობას.

რამაც მათ იპოთეკური სესხებისთვის დამატებითი რესურსების მოზიდვა გაუადვილა. ასეთ შემთხვევაში ამ სესხების დაფინანსება, ნაცვლად მოზიდული დეპოზიტებისა, მესამე პირის სახსრებით ხორციელდება. ბანკებისათვის იპოთეკური ობლიგაციებისადმი ინტერესს თითოეული გარიგებიდან მიღებული საკომისიო განაპირობებს. შესაბამისად, ბანკებს ჰქონდათ მოტივაცია, ასეთი ტიპის რაც შეიძლება მეტი სესხი გაეცათ. 2008 წლის II კვარტალში იპოთეკური ობლიგაციების ბაზარმა 6 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა და აშშ-ის მთლიანი ობლიგაციების ბაზრის (27 ტრლნ აშშ დოლარი) მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა – უფრო მეტი, ვიდრე აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების ბაზარს უკავია.

იქიდან გამომდინარე, რომ გაცემული იპოთეკური სესხის რისკი ობლიგაციის მყიდველ მესამე პირს გადაეცემა, ბანკები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული, შეემონებებინათ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა. შედეგად, გაიზარდა ფინანსურად არასაიმედო და საეჭვო საკრედიტო ისტორიის მქონე პირებზე გაცემული იპოთეკური სესხები (ე. წ. „სუბპრამ“ სესხები). აღნიშნული ტიპის სესხები 2005 წლს მთელ აშშ-ში გავრცელდა და რაოდენობრივად იპოთეკური სესხების 20 პროცენტი შეადგენდა. „სუბპრამ“ ობლიგაციების ასეთი პოპულარობა განპირობებული იყო მუშათა ფენის წარმომადგენელთა და დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებში მომუშავე, საკუთარი სახლის შექნის მსურველთა დიდი რაოდენობით, რომელთათვისაც „სუბპრამ“ იპოთეკური სესხი ბინის შეძრის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის გამო, იქმნებოდა აღებული სესხის ძირითადი და საპროცენტო ხარჯების ახალი, უფრო მეტი რდენობის სესხით დაფარვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, არსებობდა იმედი, რომ მსგავსი რამ მომავალშიც გაგრძელდებოდა. შედეგად, 2004 წელს აშშ-ში სახლის მესაკუთრეთა რიცხვმა

რეკორდულად მაღალ მაჩვენებელს – 69.2 პროცენტს მიაღწია.

„სუბპრამ“ იპოთეკური სესხი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე იპოთეკური სესხია, რომელსაც თავდაპირველად დაბალი საპროცენტო განაკვეთი და, შესაბამისად, მცირე ყოველთვიური შენატანი ჰქონდა, ხოლო ფიქსირებული პერიოდის შემდეგ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა და დამოკიდებული გახდა ფედერალური სარეზერვო ბანკის აგრეთვე გაზრდილ განაკვეთზე. ეს ყოველივე კი მსესხებელთათვის მძიმე ტგირთად იქცა, რასაც დაემატა სამშენებლო ბუმის გამო ფასების მცირედი კლებით გამოწვეული რეფინანსირების შესაძლებლობის შეუზღუდვა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა. 2007 წლის IV კვარტალში 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობამ 20 პროცენტი შეადგინდა.

ფასების ზრდით გაჩენილმა სამშენებლო ბუმმა და სესხებზე გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევის შედეგად გასაყიდად გამოტანილი სახლების რაოდენობამ ბაზარზე ჭარბი მიწოდება წარმოქმნა. შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით უძრავი ქონების ბაზარზე ფასების უპრეცედენტო ვარდნის პროცესი დაიწყო, რომლის მსგავსი 1930-იანი წლების შემდგომ აშშ-ში არ ყოფილა. 2007 წლის დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით, უძრავ ქონებაზე ფასები 10.4 პროცენტით შემცირდა. ფასების ვარდნა ნავარაუდევია შემდეგ წელსაც. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იქნება იმ შტატებში, სადაც დიდი სამშენებლო ბუმი იყო.

იპოთეკურ ობლიგაციებზე დეფოლტების მაღალმა, უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნით გამოწვეულმა სიხშირემ დიდი ზარალი მიაყენა როგორც კომერციულ ბანკებს, ასევე სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთ. აშშ-ის იპოთეკურ ობლიგაციებში ინვესტიციები არა ერთ ევროპულ თუ აზიურ ბანკს ჰქონდა

დაბანდებული. შედეგად, მსოფლიო მასშტაბით აღიარებულმა ზარალმა, 2008 წლის ივნისის მდგომარეობით, დაახლოებით, 400 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

აღნიშნული კრიზისის დასაძლევად აშშ-ის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, 300 მლრდ აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი ასობით ათასი სახლის მეპატრონეთა დასახმარებლად, რომელთაც პრობლემები აქვთ მიმდინარე იპოთეკური სესხების დაფარვაში. 3.9 მლრდ აშშ დოლარი გამოიყო ჩამორთმეული ბინების მოსაწესრიგებლად, რომლებიც ზიანს აყენებს ადგილობრივ სამეზობლოებს. 15 მლრდ აშშ დოლარი მოხმარდება საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები და გარკვეული ტიპის მესაკუთრეთათვის 7500 აშშ დოლარამდე ოდენობის კრედიტების დაფარვა. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემაზ (ფსს), სხვა ცენტრალურ ბანკებთან ერთად, არა ერთი ნაბიჯი გადადგა აღნიშნული კრიზისის დასაძლევად. 2007 წლის სექტემბრიდან 2008 წლის აპრილამდე ფსს-ის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთი 5.25 პროცენტიდან 2.25 პროცენტამდე შემცირდა. აგრეთვე, გამარტივდა კომერციული ბანკებისათვის სარეზერვო სისტემიდან სესხის აღების პროცედურა.

ფსს-ის და სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ განხორციელდა ლია ბაზრის ოპერაციები. ეს ყოველივე ბაზარზე საჭირო ოდენობით ლიკვიდობის მიწოდებას ისახავდა მიზნად.

2007 წლის ბოლოს ფსს-მ ბანკთაშორისი სესხების ბაზარზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ეფექტური საშუალება¹ განავითარა. აღნიშნული საშუალებით ფსს-მ არსებული ფინანსური პრობლემების დასაძლევად ბანკებს 100 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის სესხი მიაწოდა. გატარებულ ღონისძიებათა წარმატების მიუხედავად, აშშ-ის ფინანსური ბაზრები კვლავ დაძაბულია.

აღნიშნული კრიზისის მოსაგვარებლად ფსს-ის ძალისხმევა მხოლოდ მონეტარული ინსტრუმენტებით არ შემოიფარგლება. დადგინდა წესები, რომლის თანახმად, გამკაცრდა იპოთეკური სესხის გაცემის კრიტერიუმები. ფსს-ის ხელმძღვანელი ბენ ბერნანკე საზოგადოების წინაშე წარსდგა არა ერთი ინიციატივით, რაც იპოთეკური სესხების ბაზრის გაჯანსაღებას ისახავს მიზნად. სხვა საკითხებთან ერთად, იგი ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციის გამჭვირვალსობასა და ბანკების მიერ გაუმჯობესებულ რისკების განვითარების გონივრულად გაცემის სელშემწყობ ფაქტორებზე.

¹ Term Auction Facility (TAF).


2.5. საპანკო სეპტორი

საქართველოს საბანკო სექტორის ზრდის ტენდენცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც გრძელდებოდა. თუმცა, ბოლო სამ თვეში სესხების ზრდის ტემპის კლება შეინიშნება. 2007 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 946.8 მლნ ლარით, ანუ 20.7 პროცენტით გაიზარდა. მთლიანად, კომერციული ბანკების მიერ ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებამ 5527.3 მლნ ლარი შეადგინა.


მნიშვნელოვანია, რომ, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ვადიანობის სტრუქტურის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში გრძელვადიანი სესხები 19.8 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, დაკრედიტების სტრუქტურაში გრძელვადიან სესხებს 69.8-პროცენტიანი წილი აქვს და თითქმის მიმდინარე წლის დასაწყისში არსებულ დონეზეა. გრძელვადიანი დაკრედიტების ასეთი პოზიცია განპირობებულია, ერთი მხრივ, კომერციული ბანკების მიერ ბაზარზე გრძელვადიანი დაკრედიტების სხვადასხვა სახის (როგორიცაა იპოთეკური სესხები, ავტოსესხები და სხვა მსგავსი ტიპის დაკრედიტება) დანერგვით, მეორე მხრივ, სამწარმეო სუბიექტების მხრიდან გრძელვადიან რესურსზე არსებული მოთხოვნისა და კმაყოფილებით. წინა წლებთან შედარებით, კომერციული ბანკების მხრიდან გრძელვადიანი დაკრედიტების მექანიზმის აქტიური გამოყენება, გარკვეულწილად, უცხოური საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობამ და მათი მეტი მოცულობით მოზიდვის შესაძლებლობამ განაპირობა. მიუხედავად ბოლო თვეებში საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მატებისა, უცხოური საკრედიტო ხაზებით (არარეზიდენტი კომერციული ბანკებსა და სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან), მიღებული საკრედიტო რესურსი იაფი და გრძელვადიანია ადგილობრივ ბაზარზე მოზიდულ სადეპოზიტო ვალდებულებებთან შედარებით, რაც კომერციულ ბანკებს გრძელვადიანი დაკრედიტების პოლიტიკის გააქტიურების შესაძლებლობას აძლევს.

საანგარიშო პერიოდში ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა 38.2 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული მატება გამოწვეულია საბანკო ბაზარზე იპოთეკური დაკრედიტების დამკვიდრებით – ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, მისმა მოცულობამ 25.0 მლნ ლარით მოიმატა და 128.3 მლნ ლარს მიაღწია. ასევე, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს დღეისათვის ბაზარზე არსებული მრავალფეროვანი პროდუქტები, რომლებიც სამომხმარებლო სესხების კატეგორიას განეკუთვნება. მათ შორის, განსაკუთრებით გაფართოვდა კომერციული ბანკების მიერ სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებთან ერთობლივად განვადების სისტემის გამოყენება. ასევე, აღსანიშნავია პლასტიკური ბარათების მეშვეობით ფიზიკური პირების მიერ

გრაფიკი 2.5.1
მთლიანი სასხვაოს ზრდის ტაბაზი



გრაფიკი 2.5.2
მთლიანი სასხვაო



სამომხმარებლო სესხების აღების ფართო შესაძლებლობები. გარდა ამისა, ქართულ საბანკო ბაზარზე გამოჩნდა ისეთი ტიპის პროდუქტები, როგორებიცაა საპენსიო სესხები, სტუდენტური სესხები (სწავლების დაკრედიტება) და ა. შ.

მიუხედავად სამომხმარებლო სესხების ასეთი ზრდისა, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში უმთავრესი წილი იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებს უკავია და 63 პროცენტს შეადგენს. იურიდიული პირების დაკრედიტების მოცულობა საანგარიშო პერიოდში 12.4 პროცენტით გაიზარდა, რასაც, ჯანსალი საბანკო სისტემის მზარდ შესაძლებლობებთან ერთად, სამერარმეო სუბიექტების მხრიდან რესურსებზე არსებულმა მოთხოვნამ და ქვეყანაში მაღალმა ეკონომიკურმა აქტივობამ შეუწყო ხელი.


მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ეროვნული ვალუტით დაკრედიტების მატების ტემპმა 34.9 პროცენტი შეადგინა. შედეგად, სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი შემცირდა და 64.9 პროცენტს გაუტოლდა. მიუხედავად სესხების დოლარიზაციის კლებისა, ეკონომიკის დაკრედიტების უდიდესი ნაწილი კვლავ უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ოდენობა 14.1 პროცენტით გაიზარდა (უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ზრდის ტემპი გაანგარიშებულია პერიოდის ბოლოსათვის შესაბამისი ლარი/შებულების დოლარის გაცვლითი კურსის მიხედვით).

2008 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ვადაგადაცილებული დავალიანების წილი 1.6 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი შემცირებულია წლის დასაწყისში არსებულ მონაცემთან შედარებით. ამ პერიოდისათვის ვადაგადაცილებული დავალიანება მთლიანი სესხების 1.7 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული დავალიანება, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მიხედვით, კიდევ უფრო მაღალია და 2.0 პროცენტს შეადგენს.


სადეპოზიტო ვალდებულებები

2008 წლის ექვს თვეში 123.9 მლნ ლარით (4.4 პროცენტი) გაიზარდა და 2952.5 მლნ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ზრდა, უმთავრესად, ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე მოდის, რომელმაც 201.8 მლნ ლარით მოიმატა და 1181.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული, თავის მხრივ, ძირითადად, ეროვნული ვალუტით ვადიანი დეპოზიტების მატებამ განაპირობა. ამასთან, ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით დეპოზიტები შემცირდა 77.8 მლნ ლარით და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 1770.8 მლრდ ლარი შეადგინა. თუმცა, სადეპოზიტო ვალდებულებების ოდენობა, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გათვალისწინებით, დაახლოებით, 87.3 მლნ აშშ დოლარით (პერიოდის დასაწყისში და ბოლოსათვის ლარი/აშშ დოლარის გაცვლით კურსზე გადაანგარიშებით) არის გაზრდილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, გარკვეულწილად, შემცირებულია იურიდიული პირების

გრაფიკი 2.5.3
სესხების დოლარიზაცია




გრაფიკი 2.5.4
დეპოზიტების ზრდის ზომი



მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთები. ივნისში საპანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდის წლიურმა ტემპმა 23.2 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი მცირდებოდა და 5.4 პროცენტული პუნქტით (2007 წ., დეკემბერი-2008 წ., ივნისი) მოიკლო, შედეგად – მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსათვის 59.9 პროცენტს გაუტოლდა.

გრაფიკი 2.5.5
დეპოზიტების დოლარიზაცია



ჩანართი 3. ფულადი გზავნილების გასშტაპები საქართველოში

მრავალ განვითარებად ქვეყანაში ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა. მათ შორის გამონაკლის არც საქართველოა. ჩვენს ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილები მთლიანი შიდა პროდუქტის 8 პროცენტს აჭარბებს. გარდა ამისა, იგი შემოსული პირდაპირი ინვესტიციების ნახევარსა და საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ¼-ზე მეტია. მისი გავლენა საგადასახდელო ბალანსზე თითქმის მომსახურების ექსპორტის ეკვივალენტურია და, დაახლოებით, 2-3-ჯერ აჭარბებს ტურიზმიდან შემოსავლების გავლენას (იხ. ცხრილი). მსოფლიო ბანკის 2007 წლის მონაცემებით¹, ფულადი გზავნილების უმსხვილესი მიმღები ქვეყნები ინდოეთი, ჩინეთი და მექსიკაა. თუმცა, მთლიან შიდა პროდუქტთან ფულადი გზავნილების თანაფარდობის მიხედვით, ტაჯიკეთი და მოლდოვა (მშპ-ის 36.2 პროცენტი, თითოეული ქვეყნის მიხედვით) ლიდერობენ. ამ განლაგებაში IV ადგილზეა ყირგიზეთი (27.4 პროცენტი). ასევე, მაღალია ეს მაჩვენებელი სომხეთში – 18.4 პროცენტი. დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდნენ აზერბაიჯანი

(4.1 პროცენტი), ესტონეთი (2.4 პროცენტი), ლატვია (2.4 პროცენტი), ლიტვა (3.3 პროცენტი).

ნიშნდობლივია, რომ ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა დოლარიზაციის მაჩვენებლის დინამიკაზე (რომელიც ბოლო წელინადნახევარში 10 პროცენტული პუნქტით შემცირდა) გავლენას თითქმის არ ახდენს. აღნიშნული იმაზე უნდა მიუთითობდეს, რომ იგი, უმეტესწილად, ჩვენი თანამოქალაქეების მიმდინარე საჭიროებებსა და უძრავ ქონებაში კაპიტალურ დაბანდებებს ხმარდება და ნაკლებად – დაგროვებას.

	2007, I კვ.	2007, II კვ.	2007, III კვ.	2007, IV კვ.	2008, I კვ.	2008, II კვ.
ფულადი გზავნილები, მლნ აშშ დოლარი მათ შორის პროცენტულად:	163.8	189.0	247.0	266.4	213.8	248.6
მთლიან შიდა პროდუქტთან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან შინამუშაობების მოხარებასთან უცხოურ ეალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებთან	8.2	7.8	9.1	8.7	8.0	9.2*
	49.9	52.2	54.7	45.4	54.3	46.6*
	27.5	23.3	28.3	29.6	26.0	27.6*
	9.7	11.1	14.7	12.3	9.7	10.7*
	20.9	19.4	22.6	22.6	17.5	19.6

* შეფასება.

¹ <http://siteresources.worldbank.org/EXTDECPROSPECTS/Resources/476882-1157133580628/BriefingNote3.pdf>

შინამეურნეობების მიერ მიღებული ფულადი გზავნილები მათი მოხმარების, დაბალოებით, 10-15 პროცენტს შეადგენს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უცხოეთიდან ფულად გზავნილებს იღებს შინამეურნეობების, დაახლოებით, 5 პროცენტამდე, მაშინ აშეარაა, რომ ასეთი შინამეურნეობების მოხმარებაში უცხოეთიდან მიღებულ მიმდინარე ტრანსფერტებს სოლიდური ადგილი უკავია.

ამ ვითარებაში დგება საკითხი ფულადი გზავნილების მსყიდველობითუნარიანობაზე უცხოური ვალუტის, კერძოდ კი აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის შესახებ. კომერციული ბანკების ემპირიული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ფულადი გზავნილების განხორციელების თანამედროვე სისტემები

საკმაოდ მოქნილი და მრავალფეროვანია იმისათვის, რომ მოქალაქეებმა გაგზავნონ მათვის მოსახერხებული ვალუტა (აშშ დოლარი, ევრო ან რუსული რუბლი), მით უმეტეს, თუ ამ უკანასკნელის გაცვლითი კურსი გავლენას ახდენს ბენეფიციარის მიერ მიღებული თანხის მსყიდველობითუნარიანობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მცირდება აშშ-დან საქართველოში გამოგზავნილი თანხების მოცულობა (3.5 პროცენტი 2008 წლის ივნისში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების საერთო მოცულობაში) და იზრდება ევროპიდან მიღებული ფულადი გზავნილები, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დონორთა ქცევა ადეკვატური იქნება საქართველოში გამოსაგზავნი ვალუტის შერჩევისას.

2.6. გაცვლით კურსების მოქმედი ფაქტორები

ისეთ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გაცვლითი კურსის დინამიკას არსებითი გავლენა აქვს ინფლაციაზე. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკი წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობებსა და, აქედან გამომდინარე – აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ფორმირებაში. 2000-იანი წლების დასაწყისში, სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მაღალი მოთხოვნის პირობებში, გაუფასურებისგან ეროვნული ვალუტის დასაცავად საქართველოს ეროვნულ ბანკს უცხოური ვალუტის მიწოდების გაზრდა უხდებოდა. 2005 წლიდან, უცხოური კაპიტალის შემოდინების ზრდასთან ერთად, სავალუტო ბაზარზე მდგომარეობა შეიცვალა. კერძოდ, ბაზარზე ჭარბი რაოდენობის უცხოური ვალუტის არსებობის პირობებში, სტაბილური კურსის შესანარჩუნებლად

საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო ბირჟაზე ორმხრივი ინტერვენციებით ჩაერია. ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკის მიერ ძირითადი ამოცანის მკაფიოდ ფორმულირებამ და ფასების სტაბილურობაზე აქცენტის გადატანამ მას სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციების სიხშირის შემცირების საშუალება მისცა და ამით გაცვლითი კურსის ცვალებადობისათვის მეტი თავისუფლება შეექმნა. დღეისათვის აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის დინამიკას საბაზრო მექანიზმები განსაზღვრავს. საქართველოს ეროვნული ბანკი, მხოლოდ გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევებისაგან თავის არიდების მიზნით, სავალუტო ბაზარზე ინტერვენციებს ახორციელებს.

გაცვლითი კურსის ცვლილება სხვადასხვაგვარად მოქმედებს რეალურ სექტორზე. კურსის გაუფასურება ქვეყანაში ზრდის ინფლაციის მოლოდინს და შედეგად – ინფლაციასაც. კურსის გამყარება აიაფებს იმპორტირებული საქონლის ფასებს, რამაც შესაძლებელია, დადებითად იმოქმედოს ინფლაციაზე,



განსაკუთრებით, თუ ქვეყანა ძლიერ არის
დამოკიდებული იმპორტზე. თუმცა, ამავე
დროს, კურსის გამყარება უარყოფითად
მოქმედებს სავაჭრო ბალანსა და ქვეყნის
შემოსავლების ზრდაზე. ამდენად,
საინტერესოა შევისწავლოთ, თუ რა
ფაქტორები ზემოქმედებენ ეროვნული
გალუტის გაცვლითი კურსის დინამიკაზე
საქართველოში და რამდენად ძლიერია
ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა კურსის
ცვალებადობაზე.

ზოგადადად, გაცვლითი კურსის
დინამიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ
ფაქტორს სხვადასხვა ქვეყნების ფულად
ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთებს
შორის სხვაობა წარმოადგენს. მაღალი
საპროცენტო განაკვეთები დამატებით
უცხოურ ფულად კაპიტალს იზიდავს
ქვეყანაში, შედეგად შიდა სავალუტო
ბაზარზე იზრდება უცხოური ვალუტის
მინოდება, რაც ადგილობრივი ვალუტის
გამყარებას იწვევს. საქართველოში,
ძირითადად, განვითარებულია ერთდღიანი
ბაზ კომპონენტისა და კურაობის ბაზარი.

TIBR1 მიმდინარე წელს საკმაო ცვალებაზობით ხასიათდებოდა და 7-დან 16 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. მიმდინარე წელს ერთდღიან ბანკთაშორის კრედიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი, დაახლოებით, 12 პროცენტს შეადგენს. 2008 წლის მაისის ბოლოს, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტის ფონზე, TIBR1-მა მაქსიმალურ დონეს – 16.1 პროცენტს მიაღწია, თუმცა, შემდგომ პერიოდში, ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფენირასთან ერთად, საპროცენტო განაკვეთებმა ნელ-ზელა დაიკლო და II კვარტალის ბოლოსათვის TIBR1-მა, დაახლოებით, 13 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ აღემატება სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, აგრეთვე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ განაკვეთებს. ამერიკის, ეკრაზონის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, უკრაინის და ბალტიის ქვეყნებში ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთები მიმდინარე წელს 2-5 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.


ମାଲାଲୀ ସାତରନ୍ଦେଶ୍ୱର ଗାନ୍ଧାରୀଏତେବେ
ଡାମିଟିକ୍ ପିଠିତ ଶତିମିଳିଲାଇ ଖରୁଣ୍ଣିରି

კაპიტალის შემოდინებისათვის. თუმცა, ეს არ არის საკმარისი წინაპირობა. ინვესტორი დაინტერესებულია კაპიტალის დაბანდებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ინვესტიციაზე ამონაგები მაღალია, ანუ ეკონომიკა სწრაფად ვითარდება. საერთოდ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე სწრაფად მზარდი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უცხოური კაპიტალის დიდი ოდენობით შემოდინება. საქართველოში უკანასკნელი წლების




განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია: რეალური მშპ-ის ზრდამ 2005 წელს 9.6 პროცენტი შეადგინა, 2006 წელს – 9.4 პროცენტი, ხოლო 2007 წელს საქართველოს ისტორიაში რეალურ მაჩვენებელს – 12.4 პროცენტს მიაღწია. მიმდინარე წლის პროგნოზით, რეალური მშპ-ის ზრდა, სავარაუდოდ, 9 პროცენტის ფარგლებში იქნება, რაც, დასთავადა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. 2007 წლის მონაცემებით, საქართველოს მშპ-ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჰქონდა რეგიონის ქვეყნებს შორის. ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის

გრაფიკ 2.6.3
კაპიტალის გამოდითობის საქართველოში (მლნ აშშ დოლარი)
2003-2008 წ.



გრაფიკ 2.6.4
სავალუტო გირშაზე საქართველოს ეროვნული განცის მიზან
განხორციელებული რეინდა გასყიდვები



ასეთი ტემპები ინვესტორს სწორად განვითარებად ქვეყანაში კაპიტალის დაბანდების სტიმულს და მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური კაპიტალის შემოდინება საქართველოში როგორც პირდაპირი ინვესტიციების, ასევე სახსრების სესხების გზით, განსაკუთრებით საბანკო სექტორში. 2007 წელს მთლიანი კაპიტალის შემოდინებამ, დაახლოებით, 2.7 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 69 პროცენტით მეტია 2006 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით. ზრდა, ძირითადად, პირდაპირი ინვესტიციების ხარჯზე მოდის. პირდაპირი ინვესტიციები, წინა წლითან შედარებით, 2007 წელს 63 პროცენტით გაიზარდა და 1.7 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. 2007 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო კერძო სექტორის მიერ ნასესხები სახსრების შედეგად მიღებული კაპიტალის შემოდინება. თუ 2006 წელს ასეთი ტიპის ინვესტიცია 202 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2007 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 780 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ეს, ძირითადად, კომერციული ბანკების მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და უცხოების მსხვილი ბანკებიდან მიღებული სესხების შედეგად მოხდა. მიმდინარე წლის I კვარტალში კაპიტალის შემოდინებამ, დაახლოებით, 800 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია, რომ მთლიანი კაპიტალის შემოდინებამ 3.2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბოს, ანუ, 2007 წელთან შედარებით, დაახლოებით, 21 პროცენტით გაიზარდება¹.

კაპიტალის შემოდინების ზრდის შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე იზრდება უცხოური ვალუტის მიწოდება, რაც ნათლად აისახება სავალუტო ბირჟაზე განხორციელებულ ტრანზაქციებზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის

¹ გამოყენებულია 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები.


სავალუტო შესყიდვებმა საგრძნობლად იმატა. თუ 2000-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვები 50 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში მეტყობედა, 2004 წელს 180 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 2007 წელს 862 მლნ აშშ დოლარსაც კი მიაღწია.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მიწოდების ასეთი ზრდის შედეგად, ბაზარზე წონასწორობის ახალი წერტილის მისაღწევად აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითმა კურსმა გამყარების მიმართულებით ცვლილება დაიწყო. 2003 წლის ბოლოსათვის ერთი აშშ დოლარი 2.075 ლარს უტოლდებოდა. კაპიტალის შემდგომი შემოწმების შემდეგ სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მიწოდების გაზრდამ ლარის გაცვლითი კურსის თანდათანობითი გამყარება გამოიწვია, 2008 წლის I კვარტალის ბოლოსათვის კი 1 აშშ დოლარი უკვე 1.418 ლარს გაუტოლდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 15 პროცენტით გამყარდა, ხოლო, 2008 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, კურსის, დაახლოებით, 11-პროცენტიანი გამყარება დაფიქსირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანის დაბალ და სტაბილურ ინფლაციაზე ფოკუსირებამ ბანკები ბირჟაზე ინტერვენციების სისტემის შემცირების საშუალება მისცა, შედეგად – ლარის გაცვლითი კურსი უფრო სწრაფი ტემპით მიემართება წონასწორობის წერტილისაკენ. თუ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში გაგრძელდა სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის იმ მოცულობების მიწოდებაში დაფიქსირდა, მოსალოდნელია ლარის კურსის კვლავ გამყარება, თუმცა, წონასწორობის წერტილთან მიახლოებასთან ერთად, სავარაუდო გაცვლითი კურსის მოკლევადიანი რყევების ზრდაც.

გაცვლითი კურსის ცვალებადობაზე მოქმედ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წარმოადგენს. მიმდინარე ანგარიშის გაუარესება ზრდის შიდა ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას, რადგან

გაზრდილი იმპორტის დასაფინანსებლად მეტი მოცულობის უცხოური ვალუტაა საჭირო. შედეგად, ადგილობრივი ვალუტის კურსი უცხოური ვალუტის მიმართ უფასურდება. საპირისპირო მექანიზმი მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესების დროს. საქართველოში მიმდინარე ანგარიში წლების განმავლობაში დეფიციტურია და დეფიციტი წლიდან წლამდე იზრდება, რაც ძალიან შემაშფოთებელია. 2007 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია მაშინ, როცა 2006 წელს 1.2 მლრდ აშშ დოლარის ფარგლებში იყო. მიმდინარე წლის I კვარტალში ამ მაჩვენებელმა 723 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც, დაახლოებით, 80 პროცენტით მეტია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით. საპროგნოზო გათვლებით, 2008 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს. აღნიშნული ფიქსირდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაშიც: თუ 2006 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 15 პროცენტს შეადგენდა, 2007 წელს ამ ფარდობაში 19.7 პროცენტს მიაღწია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მიმდინარე ანგარიშის ასეთი გაუარესება, ძირითადად, საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შედეგია, რასაც, თავის მხრივ, იმპორტის მოცულობის ზრდის მნიშვნელოვნად სწრაფი ტემპი განაპირობებს.

გრაფიკი 2.6.5 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი/შპ-თან



ანალოგიურ მაჩვენებელს. 2006 წელს
საქონლისა და მომსახურების იმპორტმა
ზრდის ტემპი, 2005 წელთან შედარებით,
32 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე
წლის I კვარტალში საქონლისა და
მომსახურების იმპორტი, წინა წლის
ანალოგიურ პერიოდთან შედარებით,
დაახლოებით, 40 პროცენტით გაიზარდა.
შედარებით ნელი ტემპებით იზრდება
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი.
2006 წელს ზრდის წლიურმა ტემპმა
17 პროცენტი, ხოლო 2007 წელს –
25 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის
I კვარტალში საქონლისა და მომსახურების
ექსპორტი, წინა წლის ანალოგიურ
პერიოდთან შედარებით, დაახლოებით,
38 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული
ტენდენციები ლარის გაცვლით
კურსზე ზემოქმედებას გაუფასურების
მიმართულებით ახდენს, თუმცა, კაპიტალისა

ଓରୋଟିଲ୍ 2.7.1
ଏକମେଳିତାରୀ ପ୍ରେସଟରିଆରୀ ଓଲିଲ୍ ସାହାରିତ୍ୟେଣ୍ଟ୍ସ ମହା-ବିଭାଗ (ପରିଷଦେଶି)
2008 ମେ, ୧ ଜୁନରେତିଥାଣ୍ଟି

ეკონომიკური სექტორი	ხვდებითი წილი მშპ-ში	ზრდის ტემპი	ნელილი მშპ-ის ზრდაში
სოფლობრივი მეურნეობა, თევზჭრელი სამსახურომისამართებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება გადამშეუვებელი მრეწველობა ელექტროენერგიის, ბუნებრივი აონისა და წყლის ნარჩენება და მიწიღება შინაგამიურებელი გადამშეუვება მშეცვლობა ვაჭრობა სასაუმროეობა და რესტორანები ტრანსპორტი კავშირგაბმულობა საფინანსო შემაცველობა ოპერაციები უძრავი ქონებით, ოჯრა და კომერციული საქმიანობა საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პროცესით რენტა სახელმწიფო მართვა, თავდაცვა განათლება ჯანდაცვა სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება მინამეურებობებში დაქრიცავებული მომსახურება შესახორცია FlIM-ის მიხედვით	16.53 0.41 7.83 3.75 2.47 9.04 15.99 3.66 8.47 2.30 8.89 2.82 5.08 1.65 1.63 1.31 3.01 0.13 -4.05 91.89 7.20 -0.50 100.00	9.18 28.49 0.70 24.84 10.72 11.43 16.87 15.29 -7.92 15.04 15.80 6.19 1.82 16.09 5.87 -2.16 17.77 17.52 -2.82 9.24 9.50 8.43 9.28	1.52 0.12 0.05 0.93 0.26 1.03 2.70 0.56 -0.67 0.35 1.41 0.17 0.09 0.27 0.10 -0.03 0.54 0.02 0.11 8.49 0.68 -0.04 9.28

შემოღინების არსებული მოცულობების
შედეგად მიღებული კურსის გამყარების
ეფექტი მიმდინარე ანგარიშის არსებული
დეფიციტის კურსზე ზენოლას გადაწყნის
და შედეგად – მიმდინარე ეჭაპჩე აშშ
დოლართან მიმართებაში ლარის გაცვლით
კურსს გამყარების ტენდენცია ექნება.
როგორც ვხედავთ, მიმდინარე ანგარიშის
დეფიციტის ზრდის ტემპი საკმაოდ
მაღალია, ხოლო, მოუხედავად ბოლო წლებში
კაპიტალის საკმაოდ მზარდი შემოღინებისა,
ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული
შემოღინები იმავე ტემპით გაიზარდოს
მომავალშიც, როგორც ეს
2004-2007 წლებში მოხდა. თუ ეს ტენდენცია
მომავალშიც შენარჩუნდა, გრძელვადიან
პერსპექტივში შესაძლებელია, რომ
თბილისის ბანკთაშორის სავალუტო
ბირჟაზე იგი საპირისპიროდ – ლარის
გაუფასურების მიმართულებით შეიცვალოს.

როგორც აღვნიშნეთ, ლარის
გაცვლით კურსზე განმსაზღვრელი
გავლენა რამდენიმე ფაქტორს აქვს.
საპროცენტო განაკვეთებსა და,
აგრეთვე, ეკონომიკური ზრდის ტემპებს
შორის სხვაობა უცხოელ ინვესტორს
საქართველოში კაპიტალის დაბანდების
სტიმულს აძლევს. შედეგად, სავალუტო
ბაზარზე იზრდება უცხოური ვალუტის
მიწოდება და ლარის გაცვლითი კურსი
მყარდება. მეორე მხრივ, მიმდინარე
ანგარიშის დეფიციტის ზრდის მაღალი
ტემპი გაცვლით კურსზე გაუფასურების
მიმართულებით ზემოქმედებს, თუმცა,
მიმდინარე ეტაპზე კურსის გრძელვადიან
დინამიკაზე განმსაზღვრელი გავლენა
არ აქვს.

2.7. გამოქვეყნა და მოთხოვნა

2008 წლის I კვარტალის მონაცემებით,
საქართველოში წარმოებული მთლიანი
შიდა პროდუქციის მოცულობამ მიმდინარე
ფასებში 4182.5 მლნ ლარი შეადგინა. 2007
წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით,
მშპ-ის რეალური ზრდის ტემპებმა
9,2 პროცენტს მიაღწია.

ნაწილი კვლავ ეკონომიკის რამდენიმე სექტორზე, კერძოდ, ვაჭრობაზე, სოფლის მეურნეობაზე, საფინანსო შუამავლობასა და მშენებლობაზე მოდიოდა. 2008 წლის I კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში აღნიშნული სექტორების ხვედრითი წილი, დაახლოებით, 2/3-ს შეადგენდა. წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, გადამტუშავებელ მრეწველობაში, რომელიც, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი დარღია, 0.7 პროცენტის ტოლი ზრდის ტემპები აღინიშნა, რამაც ქვეყნის მშპ მხოლოდ 0.05 პროცენტული პუნქტით გაზიარდა.

ზემოთ ხსნებული ხუთი ძირითადი ეკონომიკური სექტორის განხილვით ჩანს, რომ ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2004-2006 წლებში, როდესაც მათი წვლილი მშპ-ში, სულ ცოტა, 90 პროცენტს შეადგენდა. სტაბილური ზრდის ტემპებით გამოიჩინდა მშენებლობა, რომლის ყოველწლიური წვლილი მშპ-ში აღნიშნულ პერიოდში ყოველთვის აღემატებოდა 1 პროცენტულ პუნქტს. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის გავლენა, აგრეთვე, მნიშვნელოვანი იყო მითითებული პერიოდის განმალობაში, თუმცა აღნიშნული გავლენა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა.

2.7.1. შინაგაურნეობის მოხარება

2008 წლის I კვარტალში
შინაგაურნეობის მოხმარებამ შეადგინა 3247.5 მლნ ლარი, რაც წომინალურ გამოსახულებაში 12.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის დონეს. ტრადიციულად, 2008 წლის I კვარტალში შინაგაურნეობების მოხმარების დონე მაღალია, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს წლის დასაწყისში სადღესასწაულო პერიოდი და საწვავისა და ენერგიის მაღალი სეზონური მოხმარება.


ფარდობითი მაჩვენებლების თვალსაზრისით, მშპ-ის ზრდის ტემპები წომინალურ გამოსახულებაში

(22.7 პროცენტი) საგრძნობლად აღემატებოდა შინაგაურნეობათა მოხმარების ზრდის ტემპებს. შედეგად, ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი მშპ-ში, 2007 წლის I კვარტალთან შედარებით, 84.6 პროცენტიდან 77.6 პროცენტამდე შემცირდა.

2.7.2. სახელმწიფო მოხარება

2008 წლის I კვარტალში, წინა წლის I კვარტალთან შედარებით, სახელმწიფო მოხმარების ზრდის ტემპმა 64.3 პროცენტი შეადგინა და დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებულ მშპ-ში 1066.9 მლნ ლარს გაუტოლდა. ტრადიციულად, სახელმწიფო მოხმარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა შიდა მოთხოვნაზე. ამასთან, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ხარჯების, დაახლოებით, 1/5 იმპორტის შესყიდვებზე მიემართება. საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, 2008 წლის I კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 251.2 მლნ დოლარის ლირებულების კონვერტაციები განახორციელა.

გრაფიკი 2.7.1
საქართველოს ხუთი ძირითაში ეკონომიკური სექტორის ცვლილი მაჩ-ში
2003 წ.-2008 წ., I კვარტალი



2.7.3. ინდესტიციები

2008 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, მთლიანი კაპიტალის ფორმირება 49.1 მლნ ლარით შემცირდა და 1121.4 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, იმავე პერიოდში მთლიანი ინვესტიციების წილი მშპ-ში 34.3 პროცენტიდან 26.8 პროცენტამდე შემცირდა.

კაპიტალის ფორმირების შემცირება მთლიანად შიდა ინვესტიციების კლების

სარჯაზე მოხდა. შიდა ინვესტიციების საპიროსპიროდ, საგარეო ინვესტიციების მოცულობის ზრდა გრძელდებოდა.

2007 წლის I კვარტალთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 65.1 მლნ დოლარით გაიზარდა და 393.56 მლნ დოლარი შეადგინა.


კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა უცხოურ პორტფელურ ინვესტიციებში – შესადარის პერიოდებში მათი მოცულობა -1.8 მლნ დოლარიდან (ე. ი. ადგილი ჰქონდა უცხოური პორტფელური ინვესტიციების წმინდა გატანას) 180.0 მლნ ლარამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის

I კვარტალში უცხოური პორტფელური ინვესტიციების მოცულობა რეკორდულია – იგი აღმატება არა მხოლოდ წინა წლების ნებისმიერ კვარტალურ, არამედ წლიურ მაჩვენებლებსაც კი. 2008 წლის


II კვარტალში ასევე პირველად განხორციელდა დიდი მოცულობით პორტფელური ინვესტიციები არასაბანკო სექტორში – საბანკო და არასაბანკო ინვესტიციები თითქმის ერთმანეთის ტოლი აღმოჩნდა. პორტფელური ინვესტიციების ზრდა საქართველოს ეკონომიკისადმი ნდობის გაზრდაზე მეტყველებს.

2008 წლის I კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდა და 723.6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 82.3 პროცენტით აღმატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთანავე, უნდა აღნიშნოს, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება უცხოური საინვესტიციო ნაკადებისა და ფულადი გზავნილების ზრდის ხარჯზე ხდებოდა.

გრაფიკი 2.7.3.1.



გრაფიკი 2.8.1.
იგარმომი, ეკსპორტი და სავაჭრო დაფილდები
(ათასი აშშ დოლარი)



2.8. საგარეო ვაჭრობა

2008 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი 48 პროცენტით, ხოლო იმპორტი 43 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 41 პროცენტით არის მომატებული და 1.29 მლრდ აშშ დოლარს შეადგინა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ

საგარეო ვაჭრობის მონაცემები, მიმდინარე მეთოდოლოგიის თანახმად, აშშ დოლარით აღირიცხება, რომელიც პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაუფასურდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესო იქნება წინამდებარე ინდიკატორების უფრო სტაბილურ ვალუტაში – ევროში გადაანგარიშება. თუ ექსპორტსა და იმპორტს საშუალო კურსით ევროში გადაციყვანთ, შესაბამისი ზრდის ტემპები 2008 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტისთვის 28 პროცენტს, იმპორტისთვის 24 პროცენტს, ხოლო სავაჭრო ბალანსისთვის, შესაბამისად, 22 პროცენტს შეადგენს.

სამწუხაროდ, საგარეო ვაჭრობის ფასების ინდექსის არარსებობის გამო, რთულია ფასების ზრდის ეფექტის რეალური ზრდისაგან გამიჯვნა.


2008 წლის პირველ ნახევარში ექსპორტირებული საქონლის პირველ ათეულს შეადგენს: ფეროშენადნობები, შავი ლითონების ჯართი, სპილენძის მადანი და კონცენტრანტები, სასუქები, მსუბუქი ავტომობილები, ოქრო, სპირტი და სპირტიანი სასმელები, სპილენძის ჯართი და მინერალური წყლები, რაც მთლიანი რეგისტრირებული საქონლის ექსპორტის 70 პროცენტს აღემატება. ფეროშენადნობების ექსპორტი სწრაფი ტემპით იზრდება და 2008 წლის პირველ ნახევარში ქართული ექსპორტის 18 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული პროდუქცია, ძირითადად, აშშ-ში, მექსიკაში, კანადაში, თურქეთსა და უკრაინაში გადის. ფეროშენადნობების ექსპორტი, 2007 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 172 პროცენტით გაიზარდა. საყურადღებოა, რომ ზრდის ასეთი მაღალი ტემპი, ძირითადად, მომატებული ფასის შედეგია, ვინაიდან ექსპორტის ფიზიკური მოცულობა მხოლოდ 15 პროცენტით არის გაზრდილი (გრაფიკი 2.8.2).

შემდეგ პოზიციაზე შავი ლითონების ჯართი, რაც ქვეყანაში წლების მანძილზე ძირითადი საექსპორტო პროდუქცია იყო, იგი ექსპორტის 10 პროცენტს მოიცავდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსუბუქი ავტომობილების როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი (რეექსპორტი) ბოლო წელს საგრძნობლად გაიზარდა. კერძოდ,

2008 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებლები გაორმაგდა. მსუბუქი ავტომობილების იმპორტს, ნავთობპროდუქტების შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს და მთლიანი იმპორტის 11 პროცენტს შეადგენს, ხოლო ექსპორტის მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის 7 პროცენტია და მეხუთე პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ ავტომობილების ექსპორტის წილმა 2008 წელს იმპორტის 16 პროცენტი შეადგინა, ანუ შემოსული ავტომობილების ძირითადი ნაწილი შიდა მოთხოვნისთვის არის განკუთვნილი. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტირება, ძირითადად, სომეთსა და აზერბაიჯანში ხდება, ხოლო მცირე ნაწილისა – თურქეთსა და უკრაინაში. რეექსპორტზე უმეტესად ახალი ავტომობილები გადის, ამიტომ ექსპორტის საშუალო ფასი იმპორტის ფასს, დაახლოებით, 2-ჯერ აღემატება.

ამრიგად, განხილულ პერიოდში ექსპორტის ზრდის ტემპი უსწრებდა იმპორტის ზრდის ტემპს. ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდება ზოგიერთი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი. ესენია ფეროშენადნობები და სასუქები. თუმცა როგორც დიაგრამიდან ჩანს, ფეროშენადნობების ექსპორტის ზრდაში უდიდესი წვილი მაინც საექსპორტო პროდუქციაზე ფასების მატებას მიუძღვის.

გრაფიკი 2.8.2.
ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ზრდის ტემპები, ღირებულებით და ფინანსური მოცულობით
(2008 წ., პირველი ნახევარი/2007 წ., პირველი ნახევართან)



3. ინფლაციის პრგნოზი

საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის პროგნოზირებისათვის, ძირითადად, ორ მეთოდს იყენებს: ერთი მხრივ, აკვირდება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლის მოკლევადანი პერიოდისათვის საპროგნოზო ინფლაციას, მეორე მხრივ, ეყრდნობა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკულ მოდელირებას საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2007 წელს სამომხმარებლო კალათის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროდუქტის გაძვირებას, სავარაუდოდ, ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. ამდენად, მათი გაძვირების შედეგად მიღებული ეფექტი 2008 წლის წლიურ ინფლაციაზე უარყოფითად აღარ იმოქმედებს. მაგალითად, 2007 წლის აგვისტოში ხორბლის თეთრი პურის გაძვირებამ წლიური ინფლაცია 1.6 პროცენტით გაზარდა, რის შემდეგაც პურის ფასი მკვეთრ ცვლილებებს აღარ განიცდის. შედეგად, მიმდინარე წლის აგვისტოდან პურის გაძვირებით მიღებული ეფექტი (1.6 პროცენტი) წლიურ ინფლაციას აღარ გაზრდის. სამომხმარებლო კალათის იმ კომპონენტების ჩამონათვალი, რომელთა გაძვირებასაც გასულ წელს, სავარაუდოდ, ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა, რის გამოც მიღებული ეფექტი მიმდინარე წლის ინფლაციაზე აღარ იმოქმედებს, მოცემულია ცხრილში 3.1.

2008 წლის ინფლაციის პროგნოზირებისას საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს ზოგიერთი პროდუქციის ერთჯერადად გაძვირების შედეგად მიღებული ეფექტის წლიური ინფლაციიდან ამოვარდნას წლის დარჩენილი თვეების განმავლობაში, აგრეთვე – საერთაშორისო ბაზებზე ფასების დინამიკას ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა საწვავი, ხორბალი, შაქარი კლების მიმართულებით. ინფლაციის პროგნოზირებისათვის ეროვნული ბანკი იყენებს დაშვებას, რომ წლის დარჩენილი პერიოდს განმავლობაში რეგულირებადი ფასები არ შეიცვლება. სამომხმარებლო კალათის დანარჩენ კომპონენტებზე წლიური ინფლაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის დაშვებით, საშუალოდ, 6.2 პროცენტი იქნება, რაც შესაბამება მონეტარული ფაქტორების წვლილს ივნისის წლიურ ინფლაციაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ III და IV კვარტალების ბოლოს წლიური ინფლაცია, შესაბამისად, 8.3 და 6.4 პროცენტის მახლობლობაში იქნება.

ინფლაციის პროგნოზირებისათვის შეფასებული, ინფლაციის ეკონომეტრიკულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} \delta p = & 0,013\delta e_{-2} - 0,080\delta e_{-4} + 0,033\delta m_{-1} + \\ & + 0,027\delta m_{-2} - 0,041\delta m_{-3} + 0,010\delta p^{oil}_{-1} + \\ & + 0,031\delta p^{food}_{-1} - 0,031ecm \end{aligned}$$

სადაც

p არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
 m – ფულის მასა;
 e – გაცვლითი ეურსი – ლარი/აშშ დოლარი;
 p^{oil} – ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიოში;
 p^{food} – ხილბოსტნეულის ფასი;
 ecm – ცვლადი, რომელიც აღწერს

ცხრილი 3.1
2008 წელს მდგრადი ინფლაციიდან გამოსარიცხო ეფექტი (აროგანები)

	07.07	08.07	09.07	10.07	11.07	12.07
ხორბლის თეთრი პური	0.2	1.6	1.6	2.2	3.1	3.1
ხორბლის ფევოლი	0.0	0.1	0.1	0.2	0.3	0.3
მზესუმზირის ზეთი	0.0	0.1	0.8	1.5	1.4	1.4
გაზი თხევადი ქალაქების შეგნით	0.0	0.0	0.1	0.1	0.1	0.1
მგზავრობა ავტობუსით, მცენარეულობების შეულ	0.5	0.5	0.5	0.5	0.6	0.6
	0.8	2.3	3.1	4.5	5.6	5.6

გრძელვადიან წონასწორობას და მას
შემდეგი სახე აქვს:

$$ecm = p_{-1} - 0.39e_{-1} - 0.61m_{-1} + 1.96y_{-1} - 6.37$$

ხოლო

ყ მთლიანი შიდა პროდუქტია.

განტოლებაში, აგრეთვე, შედის
სეზონური და გადაგვარებული ცვლადები
განსაზღვრული სეზონურობისა
და სტრუქტურული ცვლილებების
აღსაწერად.

მოდელში შემავალი ამხსნელი
ცვლადების სამომავლო მნიშვნელობების
შესახებ გაკეთდა შემდეგი დაშვებები:
• ფართო ფული უცხოური
ანაბრების გარეშე წლიურად 2008 წლის

ბოლოსათვის 47 პროცენტით
გაიზრდება;

- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური
ზრდა 9.0 პროცენტს გაუტოლდება, რაც
მშპ-ის დარგების ზრდის ტენდენციის
გაგრძელებით არის მიღებული;

- ლარის ნომინალური გაცვლითი
კურსი აშშ დოლართან მიმართებაში არ
შეიცვლება, რაც იმით აისხნება, რომ,
ზოგადად, გაცვლითი კურსი შემთხვევითი
ხეტიალის პროცესით აღიწერება;

- ხილბოსტნებულის ფასები, გასული
წლის მსგავსად, წლიურად 10 პროცენტით
გაიზრდება;

- მსოფლიო ბაზარზე ნავთობის
ფასი არ შემცირდება და ერთი ბარელის
ლირებულება, საშუალოდ, 137 აშშ
დოლარს გაუტოლდება.

ცხრილი 3.2

ცალკაული პროდუქტის ფასების ინდექსის და საშუალო ნლიურ ინდენციაში მათი ნილიდის პროგნოზი
2008 წ.

	სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასების ინდექსები (2006 წლის დეკემბერი = 1)												დაშვება	
	ფაქტობრივი			პროგნოზი										
	04.08	05.08	06.08	07.08	08.08	09.08	10.08	11.08	12.08	09.08	12.08	12.08		
მთლიანი ინფლაცია										8.3	10.8	6.4	9.5	
ხორბლის თევთორი პური	1.36	1.36	1.37	1.38	1.38	1.38	1.39	1.39	1.39	1.6	2.7	0.2	2.1	
ხორბალი	1.29	1.29	1.30	1.30	1.30	1.30	1.30	1.30	1.30	0.0	0.0	0.0	0.0	
ხორბლის ფქვილი	1.36	1.36	1.36	1.36	1.36	1.36	1.36	1.36	1.36	0.2	0.3	0.0	0.3	
სიმინდის ფქვილი	1.19	1.18	1.19	1.19	1.19	1.19	1.19	1.19	1.19	-0.1	0.0	0.0	0.0	
მზეუმზინის ჟეთი	1.81	1.82	1.81	1.81	1.81	1.81	1.81	1.81	1.81	0.8	1.3	0.3	1.0	
შაქარი	0.86	0.85	0.84	0.89	0.89	0.89	0.96	0.96	0.96	0.0	-0.1	0.1	-0.1	
მარილი	1.08	1.08	1.08	1.08	1.08	1.08	1.08	1.08	1.08	0.0	0.1	0.0	0.0	
ცივი წყლის გადასახადი	1.80	1.80	1.80	1.80	1.80	1.80	1.80	1.80	1.80	0.0	0.1	0.0	0.0	
ნავენების გატანის გადასახადი	2.37	2.37	2.37	2.37	2.37	2.37	2.37	2.37	2.37	0.0	0.1	0.0	0.0	
ელექტროენერგიის გადასახადი	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	1.00	0.0	0.0	0.0	0.0	
გაზი ბუქებრივი	1.43	1.43	1.43	1.43	1.43	1.43	1.43	1.43	1.43	0.0	0.5	0.0	0.3	
გაზი თხევადი	1.22	1.22	1.23	1.33	1.33	1.33	1.47	1.47	1.47	0.1	0.1	0.1	0.1	
ნავთო	1.11	1.13	1.27	1.26	1.26	1.26	1.31	1.31	1.31	0.0	0.0	0.0	0.0	
ფიზილის საწავა	1.34	1.36	1.53	1.51	1.51	1.51	1.57	1.57	1.57	0.0	0.0	0.0	0.0	
ბენზინის (რეგულარი, პრობონგი)	1.23	1.25	1.36	1.38	1.38	1.38	1.54	1.54	1.54	0.7	0.5	0.8	0.7	
საკარიუმბო მატარებლით მგზავრობა	0.71	0.71	0.71	0.71	0.71	0.71	0.71	0.71	0.71	0.0	0.0	0.0	0.0	
შორი მიმოსულის	1.02	1.02	1.02	1.02	1.02	1.02	1.02	1.02	1.02	0.0	0.0	0.0	0.0	
მატარებლით მგზავრობა მეტროპოლიტენითა და ტროლეიბუსით	1.62	1.62	1.62	1.62	1.62	1.62	1.62	1.62	1.62	0.0	0.0	0.0	0.0	
ქალაქების შეგნით მგზავრობა ავტობუსით, მეტროპოლიტენით და ტაქსით	1.19	1.19	1.24	1.24	1.24	1.24	1.24	1.24	1.24	0.6	0.7	0.4	0.7	
საკარიუმბო ავტობუსით მგზავრობა	1.17	1.17	1.26	1.26	1.26	1.26	1.26	1.26	1.26	0.1	0.1	0.1	0.1	
საკარიუმბო მიკროვტობუსით მგზავრობა	1.04	1.05	1.16	1.16	1.16	1.16	1.16	1.16	1.16	0.0	0.0	0.0	0.0	
დანარჩინი პროდუქცია	1.10	1.11	1.09							4.2	4.3	4.1	4.3	

გრაფიკი 3.1
ნლიური ინფლაციის პროგნოზი



ნლიური ინფლაციის შეფასებული
მოდელის შედეგად მიღებულ პროგნოზს
შემდეგი სახე აქვს:

მიღებული შედეგის მიხედვით, ნლიური
ინფლაცია 2008 წლის III კვარტალის
ბოლოსათვის 10 პროცენტის ალბათობით
8.2 პროცენტიდან 9.3 პროცენტამდე
შეიცვლება.

საქართველო, 0105. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5
ტელეფონი: 442 544; ფაქსი: 442 577; ტელექსი: 212 952 LEGAL
ელფოსტა: Info@nbg.gov.ge; ვებგვერდი: www.nbg.gov.ge